

ლიტერატური საქანონი



საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გამოცემის აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

15 ლისენტი, 2013 წ.

№70 (3680)

გამოცემის 77-ე ფაზი

ვადი 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე

ბეჭონებო! ხელო 16 ნოემბერიდა - მიხეილ ცხადშვილის პირველი ფილმის დღე!

ძვირფასო თანამემამულენო!

როგორც მიხეილ სააკაშვილის დედულეთელი „ნათესავი“ აკაკი წერეთელი იტყოდა:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვსტირი მე!..“

დაახლოებით ამ დღეში ვარ ახლა მეც – არა-მარტო ვიცინი, შეიძლება ითქვას, მუცელზეც ვიჭაჭები და, ასე რომ ვიქცევი, კარგი მაგარი საბუთიც მაქვს!

როგორც ზემოთ ვთქვი, ხელი მიხეილ სააკაშვილის პირველი ფილმის უკანასკნელი დღე!

და ამაზე მეტად კიდევ რა უნდა გამიხარდეს?!

დიახ, ვიმეორებ, უკანასკნელი დღეა და, ღმერთმა ნუ ქნას, იგი ამ პოსტზე ოდესმე უკან მოგვიბრუნდეს!

კი, ბატონი, სააკაშვილისნაირი გიუები ამქ-ვეყნად კვლავაც დაიბადებიან, მაგრამ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, ყველა მათგანი პირველი დავსვათ!

ქართველმა ხალხმა ეს სახადი უკვე მოვიხადეთ და ახლა სხვების ჯერია – ჩვენ კიდევ, ერთხელ რომ „ვჭამეთ“, ისიც გვეყოფა!

არადა, ეს კაცი ბოთე რომ იყო, მამას რომ თავი დავანებოთ, დედამ ხომ იცოდა? მზია ბებიამაც ხომ იცოდა? უახლოესი ნათესავებიდან ელიზბარ ჯაველიძემაც ხომ იცოდა? თემურ მირიანაშვილიც ერთი წუთით კიდეც რომ დავი-ვიწყოთ, მეც ხომ კარგად ვიცოდი?

აბა, „გიუე სახურავზე“ რამ დამანერინა?!

აბა, „პალო, რომელიც მეფეს შეერქო“ რამ დამანერინა?!

ჩვენს გარდა კიდევ ბევრმა იცოდა, მაგრამ რა?!

როგორც ჩანს, ასეთი საჯაყი საქმე ზოგჯერ ჩვენზე განათლებულ ერსაც ემართება, მაგალითად, გერმანელებმა ერთხელ სააკაშვილზე უფრო მეტი გიუე – ადოლფ ჰიტლერი აირჩიეს!..

ამ ჩვენს პირველი ფილმის გიუე, ალბათ, არც ზოგი რომაელი იმპერატორი იყო – თუნდაც ნერონი, თუნდაც კალიგულა – ეტყობა, ათასში

ერთხელ მსგავსი სისულელები ქართველებზე ფრთხილ ხალხსაც ემართება!..

მთავარია, ჩვენ ახლა ბოლოში გავედით და ხვალ, 16 ნოემბერს, ჩვენი გიუე პრეზიდენტის მმართველობის უკანასკნელი დღეა!

და, ძვირფასო ქართველები, მარჯვედ უნდა ვიყოთ, ჩვენი მტრების მიერ წინასწარ გათხრილ ორმოში ფრთხილი მელასავით „ოთხივე ფეხით“ არ ჩავცივდეთ!..

მე პირადად ხვალინდელი დღე აღექსანდრ სოლუსიუნიცინის „ივან დენისოვიჩის ერთ დღეს“ მაგონებს – ისევე, როგორც სააკაშვილის გიუ-რი საქციელი ძალიან ჩამოჰვავს ნერონის იმ ქმე-დებას – სენატის წევრად საკუთარი ცხენი რომ დასვა!..

თუმცა ნერონისა რა გვიკვირს, ბატონებო! ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენს გიუ პირველი და მონაცემების პარლამენტში ადამიანის ნაცვლად პირადაპირ ვირი დაუსვამს, მაგალითად, გივია თარგამაძე, მაგრამ ამ დანიშვნის წინააღმდეგ არავინ ნასულა!

პირიქით, ეს „მაურიტარი ვირი“ რომელი-დაცა მოწვევის პარლამენტის მთელი მუშაობის განმავლობაში ხმის ამოულებლად, ე.ი. ყროყინის გარეშე ემსახურებოდა ადგილობრივ ამომრჩევლებს!..

ერთი სიტყვით, ერთი გიუე პირველი ფილმის განმავლობაში ხმის ამოულებლად, ე.ი. ყროყინის გარეშე ემსახურებოდა ადგილობრივ ამომრჩევლებს!..

ამ ხნის განმავლობაში ღმერთმა ათასი ნიშანი მაინც მოგვცა, ეს გიუე მმართველი რომ შეგვეცვალა!

საქართველოს ხან „7 ნოემბერი“ მოუვლინა, ხან „8 აგვისტო“ და ხანაც „26 მაისი“!

ღმერთი ამით რომ ვერაფერს გახდა და ქართველი ხალხი ვერ გამოგვაფხილა, მერე პირველი ფილმის გიუე გარენაზე გამოგვაფხილა, მერე პირველი ფილმის გიუე გარენაზე გამოგვაფხილა!

უმოქმედოდ არც მიხეილ სააკაშვილი ყოფილა: ქალბატონები მისგან მოქმული ცალი ძუძუს ამარა დატოვა, პატიმარი მამაკაცები კი უკანალში შეთხრილი ცოცხებით მამალ ფარშევანგებს დაამსგავსა!

საქართველოს მოსახლეობის ნახევარი ნაციონალ-პრობაციონერებად აქცია, მეორე ნახევარი კი ლუკა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ გააქცია. ამასობაში, მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი ქვეყანა დააქცია!..

ძვირფასო თანამემამულენო!

ხელი 16 ნოემბერია – მიხეილ სააკაშვილის პირველი ფილმის უკანასკნელი დღე!

და, როგორც მისივე დედულეთელი „ნათესავი“ აკაკი წერეთელი იტყოდა:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, აღარ ვსტირი მე!..“

ნეტა, ამაზე მეტად კიდევ რა უნდა გამხარებოდა?!

დიახ, ვიმეორებ, ხელი 16 ნოემბერია – სააკაშვილის პირველი ფილმის უკანასკნელი დღე და, ღმერთმა ნუ ქნას, იგი ამ პოსტზე ოდესმე უკან მობრუნდეს!..

კი ბატონი, სააკაშვილისნაირი გიუები ამქ-ვეყნად კვლავაც დაიბადებიან, მაგრამ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, ყველა მათგანი ქვეყნის პირველი დამარჩევლი..

ხომ შეიძლება, გიუე გიუედ დარჩეს და მთელი საქართველო ერთ დიდ „ნინწკილად“ (გიუების საავადმყოფოდ) არ ვაქციოთ?!

ერთი სიტყვით, ხელი მიხეილ სააკაშვილის პირველი ფილმის უკანასკნელი დღე!

ამ უკუღმადლეზე გაჩენილს მმართველობის ვადა ეწურება!

გიხაროდენ, ქართველებო!..

"სახტოაბო" - გვარის დღე

8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის 176-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ლონისძიება ამჯერად ყვარელში აღინიშნა. დიდი მწერლის სახლ-მუზეუმში გამართულ ხალხმრავალ დღესასწაულზე ფართო კულტურული პროგრამა იყო წარმოდგენილი. აქვე გაიმართა ყოველწლიური ლიტერატურული ჯილდოების გადაცემა, რაც აქამდე საგურამოს მუშეუმის ათწლიანი ტრადიცია იყო.

ილია ჭავჭავაძის მედალი ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განეული ღვანილისათვის გადაეცა ცნობილ ქართველ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს.

ლიტერატურული პრემია „საგურამო“ კი წომინაციების მიხედვით ასე განაწილდა:

პოეზია – მარია ციკლაური

პროზა – კოტე ჯადიერი

კრიტიკა – ლალი ავალიანი

ჰუმანიტარული მეცნიერება – ელიზერ ჯავალია

თარგმანი – ნინო ღოლია

ხელოვნება – ნინო ზაზურიშვილი

საბავშვო ლიტერატურა – ლია რუსიაშვილი

სტირება საქართველოს გეირი პრეზიდენტი?

ვიკტორ რსხილაძე

ლიზებას ახდენს, „რაც დროულია და რაც აუცილებელია“ (იხ. „გონება ისტორიაში“). ჰეველის გაგებით, „საუთარ პარტიკულარულ მიზნებში“, „გონებას ციირების“ მეშვეობით, ისტორიული პაროვნების მიერ ხორციელდება „არსი..., რომელიც მსოფლიო სულის ნებას წარმოადგენს“. გენიალური, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე ინდივიდუუმი აკნობიერებს „დაფარული სულის“ (რომელიც ანმყოს კარსა მომდგარი) „შინაგან გაუცნობიერებლობას“ და მსოფლიო სული, უკვე მისი მეშვეობით, აღნევს თავისი ცნების შესაბამის უძალეს საფეხურს. დიდი ინდივიდუუმები გაგებულ უნდა იყვნენ, როგორც „სუბსტანციური სულის ორგანიზი“ მხოლოდ მათი დროის ფონზე. ამ დროს ჰეველისათვის, „მათი დღო“ მაინც მითისულ ეპოქას წარმოადგენს, რომელმაც უკვე ჩაიარა. გმირი ჯერ კიდევ ცოცხლობს მთლიანობასთან სუბსტანციური ერთიანობის ცნობიერებაში, იმ „სახელმწიფოს გარეშე მდგომარეობაში“, რომელშიც ზენობრიობა და სამართლი, თანამედროვე სამართლის სახელმწიფოს საპირისი სირთულე (რომელიც „ხსნის“ - აუქმებს „ინდივიდუალურის სიცოცხლეს“) დამოკიდებულია მხოლოდ ბევერებასთან განხეთებილებაში არმოფი ინდივიდუუმების სუბიექტურობაზე.

უსამართლობა იქნებოდა, არ გვესენებინა ფრიდრიხ ნიცშე, პარადოქსების დიდოსტატი. მისი აზრით, „გმირისა იმაში მდგომარეობს, რომ ქმნიან დიდს (ან რაღაცას არ ქმნიან დიდი სამუალებით) იმის გარეშე, რომ თავს არ გრძნობენ შეჯიბრში მყოფად სხვასთან ერთად, სხვის წინაშე“ (იხ. „ადამიანური, ძალზე ადამიანური“). რადგან სამყარო წრიულ მოძრაობას წარმოადგენს, „რომელიც უსასრულოდ უკვე განმეორდა და თავის თამაშს უსასრულოდ აგრძელებს“ (იხ. „ნება ძალუფლებისადმი“, ნამდვილი გმირისა ნიშნავს, „რომ... საერთოდ არ იბრძვიან“. ამ amor fatus-ს (გედისნერისადმი სიყვარულ) შეესაბამება გმირის განსაზღვრება, როგორც „მისაღები ფორმა ადამიანური ყოფიერებისა, სახელდიბრ, როდესაც სხვა არჩევით არა აქვთ“. მეორე მხრივ, ნიცშე გმირები ხედავს „გარკვეული სახის ადამიანებს, მხოლოდ რომლებზედაც რაღაც არის დამოკიდებული“ (იხ. „მხიარული მეცნიერება“), რადგან მისთვის მსოფლიო ისტორიისა და ქმედების მიზნი არსებობს კაცობრიობის უმაღლეს ნიმუშები (პიროვნებები). ისინი გადადინ „ზეკაცში“, რომელიც დროებით იდგნიფიკაციას აღნევს ცხოვრების პრინციპთან და საშუალო მონაცემების ადამიანს ყოფიერებას უსხნის.

საინტერესო მაქს შელერის აზრი, რომელიც გმირებს განიხილავს, გამომდინარე ეთიკური თვალსაზრისებიდან, როგორც პიროვნულ გამოხატულებას „ცხოვრებისეული ან ვიტალური ფასეულობისა“. იგი არის „ის იდეალურ-ადამიანური, ნახევრად ღვთაებრივი ან ღვთაებრივი პიროვნების ტაპი... რომელიც თავისი ყოფიერების ცენტრით მიმართულია კუთილების წერტილზე“ (იხ. თხულებები, 10, 313).

რაკი მეოცე საუკუნეზე გადმოვდი, გვერდი არ მინდა აუკარი ისეთ მოაზროვნესა და მებრძოლოფიცერს, როგორიც ერნსტ იუნგერი. იუნგერი გმირში ხედავს დისციპლინით, მამაცობითა და ბრძოლის უნარის სახელმწიფო პიროვნების ტაპი..., რომელიც თავისი ყოფიერების ცენტრით მიმართულია კუთილების წერტილზე და კუთილების წერტილზე და მისი ძირითადი სიკეთე ნარმოადგენს სხეულისა და სულის ბუნებრივ კეთილშობლებასა და შესაბამის კეთილშობილურ გრძნობას“ (იხ. თხულებები, 10, 313).

ამ მეოცე საუკუნეზე გადმოვდი, გვერდი არ მინდა აუკარი ისეთ მოაზროვნესა და მებრძოლოფიცერს, როგორიც ერნსტ იუნგერი. იუნგერი გმირში ხედავს დისციპლინით, მამაცობითა და ბრძოლის უნარის სახელმწიფო პიროვნების ტაპი..., რომ „[გმირის] მოღვაწეობა წარმოადგენს ამ აუცილებელი და გაუცნობიერებულ მსვლელობის (ისტორიის) გაცნობიერებულ და თავისუფალ გამოხატულებას“.

აქვე არ უნდა დავივინებულ ვოლტერის ირონია და დაცინვა გმირის ნარმოადგენის მიმართ, რომელიც აისახა მის „ორლეანელ ქლნულში“. საფრანგეთის წმინდანის - უანა დ'არკის ეს დაცინვა ისე სასტიკად მინინებს ვოლტერის თანამედროვებმა, რომ, მათი სიცუმეებით, ამ დაცინვამ გადაამტა წმინდანზე დაწვანდა.

ახლა გადავხედოთ მეორე მხარეს და მცირე შენიშვნა გავაკეთოთ იმ მოაზროვნების მიმართ, რომლებსაც კასიორერი სახითათოდ მიიჩნევს, ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედების მხრივ. ცხადია, რასი მიზანში გმირი მიაჩნიდა „ზეციური წერტილზე“ (მაგრამ აი, ჰეველისეული ხედვა უფრო მეტად საინტერესო ჩანს. ჰეველის თვისი გმირი ისაა, რომელმაც უნის და იმის რეაცია - სახატარაცხადო მიზანი და დაცინვა - ცხოვრების პირის მიზანი).

საქართველოს მთავრობა ეროვნული აკადემიის საგამოცემო-კოლეგიუმის დეპარტამენტი და გამოცემობა „იგარია“

გთავაზობთ:

1. წიგნების გამოცემას ნებისმიერი ტირაჟით და ფორმათა ოდენობით.
2. მომსახურებაში შედის: აწყობა-დაკაბადონება, რედაქტირება, კორექტირება, დიზაინის მომზადება.
3. გამოცემლისა და გამოცემის დაცვითი ფორმული, საგამოცემო სამუშავების მიზანის შედეგების დამუშავებისთვის, შემდგომში გამოცემის უზრუნველყოფით.
4. გამოცემლისა და გამოცემის დაცვითი ფორმული, საგამოცემო სამუშავების მიზანის შედეგების დამუშავებისთვის, შემდგომში გამოცემის უზრუნველყოფით.
5. გამოცემლისა და გამოცემის დაცვითი ფორმული, საგამოცემო სამუშავების მიზანის შედეგების დამუშავებისთვის, შემდგომში გამოცემის უზრუნველყოფით.
6. თქვენ მოგემასახურებათ კომპიუტერის მაღალავალიფიციური სპეციალისტები, გამოცემის დაცვითი ტექნიკორები, კორექტორები... აზრს გაგიზიარებენ თქვენი კოლეგა - ქართველი მწერლები!

ჩვენი მისამართი

ქ. თბილისი, თავისი უფლების მოედანი №4; მეოთხე სართული, თავაზი №499; საქართველოს მცნობა ეროვნული აკადემია.

საკონტაქტო ტელეფონები:

595 400 371 ავთო ჩხაიძე

599 293 967 - ალექსონ გაბელაია

571 212 770 - გულადი ფერელავა (გური ოტონა)

მაშ ასე:

ჩაგვაბარეთ დედანი - მიიღეთ წიგნი!

თავიდანვე (ვიტყვი) უნდა ვთქვა, რომ ჩვენ სამშობლოს ვითარცა პაერი და წყალი ისე სჭირდება მწერლის და მწიგნობრის სიტყვა, მისი ქარიზმა, მისი საკარალური ხედვა – ვინაიდან, და-საბამითგანვე ასე იყო...

თუ მწერალსა და მწიგნობარს დაისვამს მრჩევლად ჩვენი პრემიერი ირაკლი ლარიბაშვილი, ან სულაც მწიგნობარი უხუცესის თანამდებობას შექმნის, ამაზე უკეთესას ვერაფერს მოიფიქრებს.

ჩვენს ერამდელი (III ს.) ბაბილონელი მემატიანე-მწიგნობარი ბეროსი ბრძანებს: შუამდინარეთში მოვიდა თევზ-ჯაცი იოანი – ზღვით და მოიტანა უცნობი ცივილიზაცია: დამწერლობა, მედიცინა, ვარსკვლავთ მრიცხველობა და ასე შემდეგ...

ფარაონ რამზესს ხეთებთან წაგებული ომი კადეშთან – ეგვიპტელმა

არაფერს ვიტყვი საიდუმლო, საკრალური სიბრძნით შემოსილ დიად მეფეთა – გორგასალის, დავით IV-ის, დემეტრეს და სხვათა... მწიგნობრობაზე („გალობანი სინანულისანი“, „შენ ხარ ვენახი“-ის ბადალი, ალბათ, მცირეა მხატვრულ-ზნეობრივი სამყაროს აურაცხელ საგანძურში).

მაგრამ არ შემძლა, არ ვთქვა იმ მწიგნობარ-უხუცესთა, უბადლო მემატიანეთა და მოთარგმანეთა შესახებ, რომელთაც ფეხზე უდგებოდნენ ყველაზე დიდ შეფეხბი ქართველი ერისა, თაყვანს სცემდნენ და მათი „ხედვით“ ქმნიდნენ ქვეყნის ზნეობრივ და სამხედრო პოლიტიკას! მერჩულეს, გრიგოლ ხანძთელის, ჭყონდიდელის, ათონელი მწიგნობარი მამების სულიერმა ბრწყინვალებამ და დავთიურმა ენერგეტიკამ გამოყვანა ჩვენი ერი შუა საუკუნეთა წარდღვნებიდან...

ამიტომ აქ საგანგებოდ და ხაზგასმით უნდა ვთქვა ის, რომ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ის მოვლენა, რომ საქართველოს კულტურის მინისტრი მწერალი და მწიგნობარი ბატონობრივი გურამიშარია გახლავთ!


მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი ახალი პრეზიდენტი კარგი მწიგნობარი და პროფესიონალი ფილოსოფო-

სია!

ჩვენი ერი უნდა გამოვიდეს „ხლისტების“ მდგომარეობიდან, რომ დაუბრუნდეს ტრადიციულ კულტურას და ცონიერებას...

არის მოვლენათა და დროთა მიერ ნაკარნახევი, „კონიუნქტურა“ განპირობებული „კოაბიტაციით“ და სხვა-დასხვა ტიპის მოვლენათა მიერ...

ჩვენ ვხედავთ „ჰიბრიდულ რასათა“ და უცხო ბარბაროსთა ზნეობრივ ძალა-დობას ქართველ ერზე და მის ყველა გა-



კატრიარქი აზარაში ანუ 2013 წლის აზარული ქრონიკაზი

1.

აჭარის მთებს უფლის მადლი ათოვს, მთებს, გაპოხილს სისხლით მამა-ბაპათა, პატრიარქი ჩამობრძანდა ბათომს, პატრიარქი დღეს აჭარლებს მონათლაცს.

აჭარაში ნათლობაა დიდი, ბევრი მზე და ბევრი ათინათია, აჭარის გზა იმ ტაძართან მიდის, ჩემოდენა სანთლები რომ ანთია.

საქართველომ იელვოს და იაროს, მეც ხომ მისი ღამე თეთრად ვათენე, თავის ძროზე ქართულ საქრისტიანოს აჭარიდან მოეფინა ნათელი.

არც კი ვიცი, რა სახელი დავარქვა, პერანგა თუ თეთრობი თუ მთაწმინდა?! პატრიარქმა აჭარლები მონათლა, აჭარაში უფლის მადლი გაწვინდა.

2.

სხალთის ტაძარს გაუმრთელდა კედელი, ვენაცვალე მის მირონს და ფრესკებს, ინათლება ჩაქველი და ქედელი, აჭარლებო, უფალი არს ჩვენენ!

დუღს მირონი და იღვრება ნათელი, აჭარელი სულ ამ გზებით იღლის, მიინათლა ათასობით ქართველი, ორიათას ცამეტი წლის ივნისს.

გადლი აწვიმს სოფლებსა და ქალაქებს, სინამდვილეს გაექცევი ვერსად, ეპარქიას ღვთისმა განაგება და მეუფე დიმიტრი გვევას მწყემსად.

ტაძრები სულ ნათლულებით აივსო, მირონი დუღს, რძე მეგონა ირმის, სადაცაა გამოჩენდება იესო, აჭარის წყალი წერი ჩვენი კულტუროსანი ერის-თვის.

პატრიარქი ნათლია იმისი, ვიაც რწმენით ღმერთის სახლთან მიდის, ორი ათას ცამეტი წლის ივნისი აჭარული ქრონიკა დიდი.

3.

დრო სულ ახალ ქორონიკონს წერს, იესოა დიდებულ დიდი სიმართლე. რომ შემეცლოს ჩემ დარჩენილ წლებს ჩემს პატრიარქს ჩემი ხელით მივართმევ.

ქრისტეს ნათელს შეერია ჩემი ძმაც, გვინდა ყველას სალოცავი გავუთბოთ, ჩემ დარჩენილ სიცოცხლეს, რომ შემეცლოს ჩემი სპატრიარქის უფლის მამის და დაბალდებულს არ სტკივა, თუ სამართლიანია იგი.

ჩვენ უნდა დავიპრუნოთ ზნეობრივი სამართალი და ისტორიული სათემო ტრადიციები, თორებ სხვანარიად ვერ ვიცხოვებთ – ტყეში ხეც კი თავისი ნესით ამოდის.

**პოპა (იაკობ-აბა) არაპული
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,
აკადემიის ტრადიციათა
ცოდნის კათედრის გამგე**

მოსყიდვა ქვემოთან თუ მოსყიდვა ზემოთან?

1.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1999 წ. 22 ივნისსაა მიღებული, 2000 წ. პირველი ივნისიდან ამოქმედდა. მას შემდეგ მისი ტექსტი არა-ერთხელ შეიცვალა. მაგრამ იმ ცვლილებებმა, 2006 წ. 28 აპრილის კანონმა რომ შემოიტანა ჩვენს კოდექსში, ყველაფერს გადააჭრა. მხედველობაში მაქს სსენებული კანონის არა მარტო შინაარსი და მიზანდასახულობა, არამედ მისი მოცულობაც. ამ კანონმა კოდექსის 259 (ორასორმოცდაცხრამეტი) მუხლის ტექსტი შეცვალა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ცვლილება ამ მუხლების უმრავლესობის სხვადასხვა (ზოგჯერ ორ ან მეტი) ნაწილსაც შეეხო, ადვილი წარმოსადგენია, როგორ მსხვილ საკანონმდებლო აქტთანაც გვქონია საქმე. ასეთი დიდი საკანონმდებლო აქტის პროექტი კი საჯარო განხილვის მიზნით პრესის ფურცლებზეც აუცილებლად უნდა გამოიერებულინათ. სამწესაროდ, პროექტი არათუ არ გამოუქვეყნბიათ, არამედ ის ყველა სპეციალისტისთვისაც კი არ გადაუგზავნიათ ოფიციალურად და აზრი არ უკითხავთ. არ გადმოუგზავნიათ პროექტი თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტშიც, დაწესებულებაში, სადაც თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის მეთაურობით სისხლის სამართლის მეცნიერების ქართული სკოლის აკვანი დაირჩა.

ამ კანონის პროექტი ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სრულიად შემთხვევით ჩამიგარდა ხელში. იქვე ჩემთვა ახალგაზრდა კოლეგებმა მაცნობეს, რომ ისინი უკვე დაუკავშირდნენ საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელობას და თხოვეს, მე, როგორც თავის დროზე სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი სამთავრობო ქვეკომისიის ერთ-ერთი წევრი, მიკვეცით კომიტეტის სხდომაზე და მოესმინათ ჩემი აზრი. მე, რასაცვირველია, დაძახებისთანავე მიკედი, მაგრამ რატომდაც ეს საკითხი იმდენას არ განუხოლავთ. ასე რომ, პროექტი ისე გაიტანეს სესიაზე და დაკანონებს, რომ ჩემთვის აღარ დაუძახიათ. ამას რომ ვამბირ, არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს მე რალაც ამბიციები შანულებდეს. ღმერთმა დამითაროს ამისაგან! ამით ის მინდა ვთქვა, რომ, ჩემთვის რომ დროულად მოესმინათ, პარლამენტი იქნებ ზოგიერთ უხერხულობას მაინც აიცდენდა თავიდან. სათქმელს იქ ვიტყოდი და შეიძლება პრესის ფურცლებზე, საჯაროდ გამოსვლა აღარც დამჭირვებოდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როცა პარლამენტისათვის ასეთი დიდი საკანონმდებლო აქტის პროექტი მზადდება, აუცილებელია წინასანარ სასამართლო პრატეტიკის შესწავლა და გაანალიზება. საკითხავია, იმ ექვსი წლის მანძილზე, რაც კოდექსი მოქმედდეს, ჩვენს სამართლებრივ ცხოვრებაში ნეტავი რა მოხდა მაინც ისეთი მნიშვნელოვანი, რამაც ასეთი დიდი ცვლილებების წინაშე დაგვაყენა? თუ 2006 წლის 28 აპრილის კანონის პროექტის განმარტებით ბარათს გადაეხედავთ, ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ იქ ვერ ვიპოვთ. განმარტებით ბარათში ნათქვამია: „კანონპროექტის მიღების მიზეზია იმ სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრა, რაც არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის მატერიალურ ნაწილში“. თუ რა ხარვეზები ჰქონდათ პროექტის ავტორებს აյ მხედველობაში, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ. ახლა კი ვიტყვით, რომ სულ რაღაც სამგვერდიანი განმარტებითი ბარათი თითქმის არაფერს ამბობს იმ არსებით ცვლილებებზე, რომლებიც კანონმა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში შემოიტანა. განმარტებითი ბარათი სქემატურად მხოლოდ კოდექსის კერძო ნაწილის ცვლილებების საჭიროებას ეხება.

დავინცოთ იმით, თუ რა „სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრა“ დაუსახავთ მიზნად განსახილველი კანონის პროექტის ავტორებს სისხლის სამართლის

სწორედ ამაზე ნათქვამი „მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებსო“.

კიდევ ერთ საკითხზე შევაჩერებ აგრძელებულ მეცნიერებას. 63-ე მუხლის მეტყველების მინიჭებულის თანახმად, „თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დაინიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული“. მაშასადამე, თუ არასრულნობრივანმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლოს მისურვის პირობითად მსჯავრის დანიშვნის უფლება არა აქვს. სამაგიეროდ სასამართლოს 50-ე მუხლის მეტყველების მინიჭებული სრულ უფლებას აძლევს, სრულნობრივანს თავისიუფლების ადგევთა პირობითად შემთხვევაშიც დაუნიშნოს, როცა მან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა. რა გამოდის? აქედან ის შეიძლება დავასკვნათ რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სრულნობრივანი გარეთ შეიძლება დარჩეს, ხოლო არასრულნობრივანი ციხეში მოხვდეს. სადაც რა სამართლია ეს? რისი ბრალია ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა? ეს იმის ბრალია, ბატონები, რომელიც გამოიხატა, პარლამენტში კანონპროექტებზე ის ხალხი მუშობს, ვისაც, ორი ბატი რომ მიაბარო მინდორში სამწყემსავად, სამს დაგიკარგებს.

დავუბრუნდეთ ახლა ისევ კოდექსის
63-ე მუხლს არსებითად. ამ მუხლის ად-
რინდელი რედაქცია აქცენტს ძირითა-
დად დამაშავის პიროვნებაზე აკეთებდ-
და სასამართლოს უფლებას აძლევდა
სასჯელი პირობით დაენიშნა, თუ საქ-
მის მასალების და პიროვნების შესწავ-
ლის საფუძველზე დარწმუნდებოდა, რომ
„მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლე-
ბა“ სასჯელის რეალური მოხდის გარეშე-

პირობებით მსჯავრის იდენტის წარმოშობას
დღიდი ხნის ისტორია აქვს. ის სისხლის სა-
მართლის სოციოლოგიური სკოლის ნაყო-
ფია. ეს სკოლა XIX საუკუნის 80-იანი წლების
დასაწყისში წარმოშვა გერმანაში. ამ
მოძღვრების მიხედვით სისხლის სამართ-
ლის პასუხისმგებლობის საფუძველია არ-
სისხლის სამართლის კანონით აღნიშვნი-
ქმედება, არამედ პიროვნების საშიში მდგო-
მარეობა. რატომ უნდა ველოდიოთ, როდი-
ჩაიდენს ადამიანი ქმედებას, მაგალითად
მოკლავს კაცს, იყაჩილებს და ა. შ. თუ ის
სოციალურად საშიშია, თუ მისგან ხვალ
მოსალოდნებლია დანაშაულის ჩადენა, უმ-
ჯობესია, დროზე მივიღოთ შესაბამისი ზო-
მები, მანამ დავაკისროთ პასუხისმგებლო-
ბა ადამიანს, სანამ დანაშაულს ჩაიდენდე-
და საზოგადოებას დააზიანებდეს.

სოციოლოგიური სკოლის წინააღმდეგ
ერთ-ერთი ძირითადი საყვედლური იყო ის
რომ მას შეუძლია პოლიტიკური რეპრენდი-
სიებისა დასაბუთებას შეუწყოს ხელი. ასევე
მოხდა საბჭოთა რუსეთში, სადაც XX ს-იდან
30-იან წლებში „ხალხის მტრის“, ე. ი. სო-
ციალურად საშიში პიროვნების იარღიყის
მინებებით უთვალავი პატიოსანი ადამიანი
გაანადგურეს. საბჭოთა რუსეთმა ამ სკო-
ლის პრინციპები მხოლოდ მე-20 საუკუ-
ნის 50-იან წლების ბოლოს დაძლია, როცა
მიღიო საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე
რესპუბლიკებს 1958 წლის 25 დეკემბრი
სისხლის სამართლის კანონმდებლობის სა-
ფუძვლები. ქმედებისათვის პასუხისმგებ
ლობის პრინციპი საბჭოურ სივრცეში ა
კანონმა პირველად შემოიტანა.

ასე იყო თუ ისე, ცივილიზაციულმა სამყარომ, როგორც იქნა, დაძლია სოციოლოგიური სკოლის პრინციპები და ქმედების სისხლის სამართლი დაამკვიდრა. თანა მედროვე სისხლის სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობის საფუძველია კანონით აღნერილი კონკრეტული ქმედება და არა პიროვნების საშიში მდგომარეობა.

სისხლის სამართალში საბოლოოდ დამკვიდრდა. ეს იყო პირობითი მსჯავრითი იდეა. სოციოლოგიური სკოლის მამამთავარი, გამოჩენილი გერმანელი იურისტი

ოთარ გამყრელიძე

ფრანც ლისტი სოციალური საშიშროების მიხედვით დამნაშავებს სხვადასხვა ტიპებად ჰყოფად ა. მათ შორის იყო გამოყოფდა, ერთი მხრივ „გამოუსწორებელ დამნაშავეს“, ხოლო, მეორე მხრივ, „შემთხვევით დამნაშავეს“. აი, სწორედ ა „შემთხვევითი დამნაშავის“ მიმართ ფლისტი განსაკუთრებით ფრთხილ მოყყორბას მოითხოვდა. მისი აზრით, ციხე დამნაშავეს ვერ ასწორებს. პირიქით, და ნაშაულებრივი უნარ-ჩვევების არმქონებებთხვევითი დამნაშავე ციხიდან გამოცდა დაჩაბარებულ, განვირთნილ პროფესიონალად გვევლინება. აი, რატომ იყო, რომ ფ. ლისტი არ იზიარებდა და ჩვენც ვერ გავიზიარებთ ფორმულას – „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში“. მიიღო უმეტეს, თუ ეს წვრილმან დამნაშავესაც ეხება. ასე დამკვიდრდა „შემთხვევითი დამნაშავისათვის“ პირობითი მსჯავრის სასჯელის პირობითი დანიშნვის იდეა.

ამ მოკლე ისტორიულა ექსურსის შემდეგ, მოდიოთ, ახლა კიდევ ერთხელ გადავხედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის ადრინდელ ტექსტს. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელად დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის გარეშე, სასამართლო დაადგენს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით“. ამ მუხლის 2006 წლის 28 აპრილის რედაქცია კი ასეთია: „თუ მხარებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“.

როგორც ამ ტექსტების შედარებიდან ჩანს, მუხლის ადრინდელი რედაქტოის სიტყვებით – „თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება“ – ამოღებულია, თუმცა ადრინდელი რედაქტოის ბოლო სიტყვები – „დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“ – შენარჩუნებულია. რა მივიღეთ ამ ცვლილებით? მივიღეთ ის, რომ სასამართლოს აღარ ევალება იმსჯელოს დამნაშავის პიროვნებაზე, იმსჯელოს იმაზე, შეიძლება თუ არა „მსჯავრდებულის გამოსწორება“ სასჯელის რეალურად მოხდის გარეშე.

ასე რომ, 63-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, შეიძლება გარეთ დარჩეს საშიში, გამოუსწორებელი დამნაშავეც, თუკი მას საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებენ. სამაგიეროდ, ციხეში უნდა გავუშვათ მსჯავრდებული, რომლის გამოსწორება, მართალია, შესაძლებელია, მაგრამ, სავსებო გასაგები მიზეზის გამო, ის უარს ამბობს საპროცესო შეთანხმებაზე ანდა თვითონ პროკურორი არ არის ამის თანახმა. ერთი სიტყვით, პირობითი მსჯავრი კოდექსის 63-ე მუხლის ახალი რედაქციით არსებითად გაუქმდებულია. სიტყვები „პირობითი მსჯავრი“ ამ მუხლის სათაურსა და ტექსტს მხოლოდ ფორმალურად შემორჩინა. ასეთი სისხლის სამართლის პოლიტიკა ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვერ წაგვიყანხს.

თუმცა კოდექსის 63-ე მუხლის ახალი რედაქციის ტექსტი სხვა მხრივაც იმსახურებს კრიტიკას. საქმე ის არის, რომ აშკარა წინააღმდეგობა 63-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებს შორის. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ მხარეებს შორის დადგებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“. რაც შეეხება მესამე ნაწილს, აქაც სასჯელის „პირობითად“ ჩათვლაზეა ლაპარაკი, მაგრამ ამის უფლება სასამართლოს მხოლოდ მაშინ ეძლევა, როცა მსჯავრდებული „აღიარებს დაანაბულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან“. აქ, რომელიც ამავე სასჯელის შემთხვევაში

► გამოძელება. შემდეგ ნომერში


ჩენოსტ, ჩენიკო, ჩენოსტ!

სახლი რუსთაველზე

(გაგრძელება)

ერთ მშვენიერ პირველ სექტემბერს სკოლაში ნაშიყვანება.

ის დღეც კარგად მახსოვს და პირველი გზაც – სკოლისკენ. დედაჩემს ცალ ხელში „დედაენიანი“ ჩანთა ეჭირა, მეორეში ჩემი ხელი და რუსთაველზე მივყავდი, ჩვეულებრივზე საქმიანი ნაბიჯით.



მხატვარი კოტე ჯაფარიძე

ილიასა და აკაეის ძეგლი რუსთაველზე მოგვიანებით დადგეს, მანამდე ვაჟთა პირველი სკოლის სპორტულ დარბაზს ეჭირა ის ტერიტორია. თვითონ სკოლის შენობაში ლესია უკრაინ-კას ქუჩიდან იყო შესასვლელი.

„ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ კიბეზე მოიტეხა ფეხი და მერე მთელი ცხოვრება კოჭლობადა“, – თითქოს მაფრთხილებდა დედაჩემი კიბებზე ასვლისას.

კიდევ ორი დეტალი ჩამორჩა მეხსიერებაში: თეთრი დაფა – ოქროსფრად ჩამოწინიერებული ასოებით და პლაკატები, რომელთა არც შინაარსი მესმოდა მაშინ და არც ავტორთა ვინაობა მეუბნებოდა.

ის დაფა – პირველი სკოლის სახელოვან მოსწავლეთა გვარების ჩამონათვალით – ილიას, ბარათაშვილის, ორქელიანისა და სხვების თაოსნობით, იმედი მაქეს, დღესაც ამშვენებს იქაურობას. რაც შეეხება ლენინ-სტალინ-ბერიას ლოზუნგებიან პლაკატებს, მათ ჯერ კიდევ სკოლაში ჩემი სწავლის დროს გამოუტანეს განაჩენის ფეხის.

ისევ რუსთაველი. სკოლის პერიოდის კადევ ერთი ძლიერი მთაბეჭდილება. დაწყებითი კლასის მოსწავლე ვარ. გაკვეთილები დაგვიმთავრდა, დამრიგებელმა სკოლის კარამდე მიგვაცილა. გარეთ დედა მელოდება, რაღაც უჩვეულო ხდება, ქუჩა საგსეა უცნაურად აფუთფუთებული ხალხით. დედაჩემიც აფორიაქებულია, ხელს მეიდებს და სახლისკენ მექაჩება. ვერძნობ, უნდა რაღაცას მომარიდოს, ვუძალიანდები, კისე-

რი იქით მელრიცება, მთავრობის სახლისკენ, სადაც ხალხია შეკრებილი.

ხელიდან ვუსხლტები დედას და მათ-ენ გავრბივარ.

ეს ის დღოა, როცა მთავრობის სახლის, დღევანდელი პარლამენტის შენობის მშენებლობა გაჩაღებული.

პირველი, რაც თვალში მხვდება, მორღვეული ლობება. ხალხი ჩემეენ ზურგით დგას. წვალებით მივიკვლევ გზას მათ შორის. უცნაური სანახაობა იშლება ჩემ თვალინი: ზუსტად იმ ადგილას, სადაც ნლების შემდეგ, 9 აპრილს, საბჭოთა ჯარი სისხლიან კალოს მოაწყობს, უზარმაზარი ომმა გათხოლო. ხალხი თხოლს ჩაჰურებს. კაციშვილი ხმას არ იღებს. პირდაფჩენილ მიწაში ძეველი ხის მოგრძო ყუთებს ვხედავ.

ვერ ვხვდები რისა, მაგრამ მეშინია. გაეცევა მინდა, თუმცა ადგილიდან ვერ ვიძვრი. ყუთებს თვალს ვერ ვაშორებ, მერე სახეებს ვათვალიერებ გარშემო, ვცდილობ გავიგო, რა ხდება.

დედა მპოულობს, გულში მიხუტებს და უსტყვოდ მივყავარ სახლისკენ.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ვიგებ, როგორ ანგრევდნენ გასაბორების შემდეგ ბოლშევიკები ეპლესია-მონასტრებს, როგორ დაუნგრევიათ ჩემი სკოლის გვერდით მდგარი აღექსანდრე წეველის ტაძარი, ე. წ. „სობორო“, რომლის ეზოშიც 1921 წელს კოჯორთან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იუნკერები განისვენებდნენ. თავახდილ საფლავებში, სხორცედ ამ მებრძოლთა კუბოები მინახავს იმ დღეს, როცა წარსულზე ქვაფენილის დაგებას იწყებდა მაშინ დელი მთავრობა.

მოგვიანებით დედაჩემმა რუსთაველისა და ჭავჭავაძის კუთხეში, წიგნისა და ფართლეულის მაღაზიებს შუა გამარჩერა სკოლიდან შინ მიმავალი და ალექსანდრე ჭავჭავაძის დალუბების ისტორია მიამბო, ისევე ფრთხილად და განსაკუთრებული მონდომებით, როგორც ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილის ფეხის მოტეხის ამბავი.

შთაბეჭდილება ძლიერი იყო. დიდი ხანს მიტრიალებდა თვალინი ფანჯრიდან გადმოსხმული წყლით დამტრთხალი, თავნებულებილი ცხენი, თავდალმართხე დაშვებული უმართავი ეტლი, უმწერ მეტლე, მის დასახმარებლად წახვეული საბედისნერო მანელი, ეტლდა ფლობებებებში მოყოლილი პოეტი..

მერე ბირჟაც კი გვერნდა ზუსტად იმ ადგილას მთანმინდელ ბიჭებს. მაგრამ ფიქრი მაინც მძლავრობდა....

მერე იონა მეუნარგიაც წავიკითხე. ვორონცოვის სახლში რაღაც დღეობა იყო და იქ მიბრძანდებოდა დილის ათ საათზე მისალოცად პოეტი, მეუღლემ, სალომემ, ურჩია.

მერე რომელილაც ფანჯრიდან გადმოსხმული საბნაინი წყალი....

მერე დამფრთხალი ცხენი...

მერე „ეუჩერი“ შეშინებული ეძახის თავადს, „კნიაზო, მე ამის დამჭერი აღარ, თავს უშველეო“.

მერე შინელი, გრძელი, რუსული შინელი, საბედისნერო, თითქოს სიმბოლურიც.

ადამიანს სჩვევია, უბედური შემთხვევის შემდეგ მოჰყვება, ასე და ასე რომ არ ყოფილიყო, იქ რომ არ მისულიყო, ცოტა რომ დაეგვიანაო და ა.შ.

მეც ხშირად ავყოლივარ ასეთ ფიქრებს. რატომ შეუჩნდა ის კეთილშობილი ორგელიანის ქალი ქმარს, გინდა თუ არა წადი ვორონცოვთან დილის ათ საათზე? მას რომ არ ეძალა, წავიდოდა?

და თუ არ წავიდოდა...

მერე ის დედაკაცი, ასე უსახელოდ რომ გაერა საქართველოს ისტორიიდან, საპნიანი ტანტით... რა გარეცხა? ვინ დაპანა? რომ არ გადმოესსა თბილისის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე წარეცხა წყალი, იმ ჩემი ცოდვით სავსეს, რა მოხდებოდა?

ცხენი არ დაფრთხებოდა...

და თუ არ დაფრთხებოდა...

ახლა „ეუჩერი“... მიშველე „კნიაზო“... ცოტა მაგარი ეუჩერი რომ ჰყოლოდა, ხომ დაიმორჩილებდა ცხენებს...

და თუ დაიმორჩილებდა...

ახლა, მთავარი: მამაცი თავადი... თავს უშველეო, უყვირის მეეტლეს და გენერალ-ლეიტენანტი, სამი აჯანცების მონაწილე, ნებ. ანას ორდენის კავალერი, თავს კი არ შველის, ეტლიდან კი არ ხტეა ან შეშინებული სავარძელში კი არ იყუჩება, ნინ ინეს, მეტლეს ეხმარება, როგორც რაინდი და აქ იხვევს ბორბალი მისი გრძელი შინელის კალთას.


ს შინელიც სიმბოლურია! იმდრონდელი საქართველოს მნარე სინამდვილეა!

მახსოვეს, როგორ შემიცვალა „ჭავჭავაძის შინელმა“ დამოკიდებულება ამ სამისას მიმართ. ვერ ვიტანდი ტლანქ, ბუსუსებაყრილ, ხაკისფერ შინელებს, იშვიათად, მაგრამ მაინც რომ დააფრთხებდნენ რუსთაველზე, ჩემი სახლის ნინ, შუაზიელი ან რუსი სამხედროები, და ვერც მათ პატრონებს.

ყველაფერი პირველი

ლენინის შინელმა“ დამოკიდებულება ამ სამისას მიმართ. ვერ ვიტანდი ტლანქ, ბუსუსებაყრილ, ხაკისფერ შინელებს, იშვიათად, მაგრამ მაინც რომ დააფრთხებდნენ რუსთაველზე, ჩემი სახლის ნინ, შუაზიელი ან რუსი სამხედროები, და ვერც მათ პატრონებს.

უკანასკნელი



გოგი ხარაბაძე

მოეფინებოდნენ დედებისა და ბებიების გადაკეთებული, ნაზამთრალი ტანსაცმლისგან გათავისუფლებული გოგოები, თავით დავდიოდი... არა, კი არ დავდიოდი, დავფრინიანვდი...

სულ მცხელოდა, გული გამალებით მიცმდა, სადღაც ლრმად, ლრმად... მინდოდა ყველას გაეგონა ჩემი გულისძევრი, ყველას ეგრძნო ჩემი სიმხურვალე და სითბო. ერთხელაც, ლალიძის სახატაჭურის, თერთნინსაფრიანი მიმტანი გოგონას ყურადღების მიპყრობის უინით შეცყრობილებმა, სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთ და „სკვაზნოის“ გაკეთება გადაეგნებოდება.

კარგად დანაყრებულებმა ფული არ გადავიხადეთ, ჯლიგინ-ჯლიგინით ავირბინეთ მარმარილოს კიბები და სხვადასხვა მიმართულებით გავიფანტეთ.

სახლში აქმინებული მიგვარდი და საკუთარი საქციელით აღფრთოვანებულმა დედაჩემს მოვუყევა, რაც ჩაციდონები. ხმა არ გაუცია, ისე დაიწყო ჩაციმა. დავიბენი, შევნუხდი, სად მიდიხარმეტქი, – წავისულებით.

„ფულს იმ ოფიციანტს გადაახდევინებულ, წავისულებით მითხრა და კარი გაიხურა.“

მერე, დიდხანს, სკოლაშიც აღარ მივსულვარ „ლალიძის“ გავ

თულ ფენომენად ვერ იქცა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ იგი იმ კულტურაში, სადაც უნდა გაჩენილიყო, სადაც ადამიანებმა დაკარგეს ღმერთი, აქვთ მატერიალური კეთილდღეობა, სვამენ კითხვას: „რისთვის ვცხოვრობთ“. ხოლო ჩვენ სინამდვილეში, ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელშიც საქართველოც ერთიანდებოდა, ეს კითხვა არ ისმებოდა და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მათ პური ჩვენი არსობისა ჰქონდათ მოსაპოვებელი. ეგზისტენციალიზმი უნდა გაჩენილიყო კეთილდღეობის საზოგადოებაში, მეტიც, მხოლოდ უღმერთო კეთილდღეობის საზოგადოებაში. მეონია, პოსტმოდერნიზმი სწორედ ამგვარ ურთიერთობაშია ქართულ კულტურასთან. ის არის ძალიან გარეგანი ფენომენი, რადგან ქართულ კულტურას სულ სხვა პრობლემები აქვს. ჩვენ გამოვედით საბჭოთა კავშირიდან და გვაქვს მიზანი – წავიდეთ ევროპისაკენ. განსხვავებით ევროპისაგან, ვიცით, სად ვიყავით და საით გვინდა წასვლა, მაშინ, როცა პოსტმოდერნიზმი დაემყარა ადამიანის სრულ თავისუფლებას. პოსტმოდერნიზმი არის ადამიანის თავისუფლების გამოცდა, თუ რას ნიშნავს აბსოლუტური თავისუფლება, ანუ ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული თავისუფლება. ქართულ სინამდვილეში თუ არსებობენ ასეთი ადამიანები მე ბოდიშს მოვუხდი და დავასკვნი, რომ აქამდე, უბრალოდ არ ვიცნობდი.

— ბატონო აკაკი, ძალზე საინტერესოა თქვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რას უნდა ნიშნავდეს ზოგადად განვითარება, პროგრესი ხელოვნებაში და რა კავშირი აქვს საერთო ტექნიკურ პროგრესს ამ უკანასკნელთან.

- უნდა გითხრათ, რომ ხელოვნება
ის სფეროა, სადაც პროგრესზე საუბარი
სისულეელეა, აბსურდა. შეიძლება ვისა-
უბროთ პროგრესზე ტექნიკაში, მეცნიე-
რების განვითარებაში, ცოდნის დაგრო-
ვებაში და ასე შემდეგ. პროგრესზე რელი-
გიაში და ხელოვნებაში ვერ ვისაუბრებთ.
ასე რომ იყოს, მაშინ რუსთაველი უნდა
იყოს წარსული და ჩვენ ყველა მასზე მაღ-
ლა უნდა ვიდგეთ. ხელოვნება თვითკმა-
რი, თავისითავადი სამყაროა. ის არ არის
ჩართული (კარგი გაგებით) ისტორიულ
პროცესში, იგი თვითმკვები სამყაროების
ერთობლიობაა. რაც შეეხება ტექნიკურ
პროგრესს, მან წარმოშვა ხელოვნების
ახალი დარგები, მაგალითად, ვიდეო-ინ-
სტალაციების განვითარებას სწორედ
მას უნდა ვუმადლოდეთ... სწორედ ტექ-
ნიკაზე დამყარებულმა ცხოვრების წესა
დაიწყო ხელოვნების კლასიკური გაგების
განდევნა ცხოვრებიდან. ამიტომ მორა-
ლი, სულიერება, რომელიც დამახასია-
თებელია ხელოვნებისათვეს, შევიწროე-
ბულია ყოველი ტექნიკური პროგრესის
შემთხვევაში. ხელოვნებაში ხდება ცვლი-
ლებები, მაგრამ პროგრესი - არა. პოს-
ტმოდერნი სწორედ ის ფილოსოფიური
მიმდინარეობაა, რომელიც გამორიცხავს
პროგრესს.


საბილონ ჯამში რა წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნების main stream-ს? პოსტმოდერნისტული თუ კლასიკური ხელოვნება?

პოსტმოდერნიზმს აქვს ერთი ასეთი ვერაგული დევიზი: ან იქნები პოსტმოდერნისტი ან გაქრი! ეს არ ნიშნავს ფიზიკურად გაქრობას, არამედ - უარს გეტყვიან თვითრეალიზაციაზე.

“ ფილიპ ლერში, მოდერნიზმზე საუბრის დროს, ამბობს, რომ გამოსავალი „უკან დაბრუნებაა”...

ძალიან ბევრი საინტერესო თვალსაზრისად გამოითქმული, რომელთა მიხედვითაც, ტრადიციული ლირებულებების აღდგენა უნდა მოხდეს. ისე, პოსტმოდერნს ერთი დადგითი მხარე აქვს, - მის ფარგლებში შეგიძლია იცხოვრო ისე, როგორც ამას საჭიროდ თვლი და არავინ დაგაძალებს სხვად ყოფნას.

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ କଣ୍ଠାରୀ



რო შექმნილა და ის საიდუმლო შრეები დანახვა, ჟემბარიტების ჩენა და ვლენ აღარ განხორციელებულია. ხელოსნიბა ხელობა, ხელოვნება - მათ შორის ზღვა რო გაქრა.

- როგორც მახსოვეს, ამასთან და
შირებით, ტიტუს ბუკპარდტი ერთ-
ნერს: ერთი ნუთით უკიდურეს აძ-
რაქციაში რომ წარმოვიდგინოთ, ი-
ქოს ფილოსოფიური გამოცდილება-
არსებობს და ჩვენ ამეპოქიდან ვინც
ყოფილებას, მაშინ ხომ იგივეს ვე-
კუსაყვედურებით პოსტმოდერნს?

- აპსოლუტურად სწორია. სწორები ამიტომ უნდღებენ პოსტმოდერნიზმის ახალ წარმართობას, წარმართობა ფლოსიფიკის წინანდელი პერიოდი იყო. და პოსტმოდერნიზმს კი შეიძლება ვუწივევოთ ახალი წარმართობა, - ადამიანის არსებობა ყოველგვარი იდეალების გრძელების მიზნით. პოსტმოდერნიზმი სწორები და აპსტატირებულს გამორიცხავის მისთვის არსებობს მხოლოდ ის, რაც შესახებია ხელით, შეგრძენებადია გრძნობა ორგანოებით.

- ბატონი აკაკი, ჰანს ზედლმარი თავის ფუნდამენტურ ნაშრომები „ცენტრის დაკარგვა“ და „თანამედროვე ხელოვნების რევოლუცია“ თანამედროვე ხელოვნების შესახებ წერ „იქნებ კიდევ გველიარებინა ისინი, ხლოოვნებაზე რომ არ ჰქონდეთ პრეტეზია“-ო, მაგრამ ვალიარებდით ამ უკანასწერს?

სულოვესიან სალიაშ საინტერესო ფენომენია, რადგან სწორედ იგი ხდიდ

ძარში ქარია

ვდგვარ ქუჩაში
და ქარიშხალს ვასწავლი ფრენას,
ახლა ღამეა..
მე ტალღების მოვარდნას ვუძლებ.
ცა აირია,
ვარსკვლავები მიცვლიან სიზმარს,
თვალებზე ქსოვენ
ღამენათევ ყვავილთა ფურცლებს...
შენენ გზა მოდის,
მიმოკლდება სავალი ქარში,
მე ვიხდი წარსულს
დაბარული სხვისი ლანდივით
და სუნთქავს მთვარე,
სუნთქავს მთვარე, როგორც ივლისი,
მკერდზე ადნება
სადედოფლო ნისლის მანდილი.
სულში ქარია...
წინ მივდივარ,
უკან ვბრუნდები,
ეს გზა რთულია,
მე მარტივად ვუახლოვდები...
შენი სიშორე
ჩემს სიმართლეს ისე უხდება,
როგორც ლოცვებით აკინძული სალამოები...
ქარში ქარია...
ვიკარგები,
ვინთები,
ვქრები
და წარმართივით ვიმეორებ დროსა და მანძილს.
დღეს მწვერვალი ვარ,
ცასთან ახლოს ვიხსნები სრულად,
დათოვლილ გულში
სიყვარულის ჩვილ მზეს ვაძინებ.

გადარჩი, ჩემო აისბერგო,
ყინვის ბექთარზე
შემოგელენა რეტდასხმული შლეგი ბორიო,
სევდამ დაგინთო მარტოსულის ლურჯი
ზამთარი,
საკამურიდან კვლავ სიცივის ამოდის კვამლი...
გადარჩი.
შენი სიდიადით არ ხურავ სივრცეს,
მინამ გიკურთხა განდეგილის თეთრი სამოსი,
შენი აპრილი გადაიქცა ნატეხად მთვარის,
ვით ობლობაში გამოზრდილი ბავშვის სიზმარი...
მე მზეს ვატყუებ შენს სიკვდილს,
რომ ისევ გაცოცხლო,
გზას ვურევ...
მინდა შეშლილივით იხეტიალოს,
რა საჭიროა გათოშილი...
მწველი სიტყვებით
მოტყუებული თამაშობდე წაგებულ ომებს...

შენ ახლა უფრო...
სარკესავით გირეულავს ზეცა
და უსახელო გვირგვინებად თავს გაქსოვს
ნისლებს,
ცისფერი სისხლი სუნთქავს ძარღვში,
ცისფერი ცრემლი...
ჩუქურთმასავით ყვავის შენში -
წყალობად უფლის.

შენს კედლებს, ჩემო აისბერგო,
მუდამ ატყვია
წითლად ნაკანრი -
სიყვარულის ნაბილიკარი,
კარი რომ გქინდეს,
ინათებდა შენი ოცნებაც,
გამოჩნდებოდა შენი ნეკინის წიაღში ქალი...
მაგრამ ადრეა...
სიმშიდეა შენი საგზალი,
ჯერ ხომ საზღვარი ზღვართა შორის ისევ
შორია...
შენს მღვიმებას მხოლოდ ფრთხები უთროთიან
ლოცვის,
ნებით მარხულობ დუმილით და
ნებით ინგრევი...
დროსავით არვის გაურბიხარ
და გულზევიადი
საფლავის ლოდად დასდებიხარ საკუთარ

**თამარ ლომიძე**

სხეულს...

მარტო ხარ.

გათოვს.

თოვლს სწირავენ შენნაირ კერპებს
და ნამსხვრევებად მრავლდებიან შენში
შვილები...

გადარჩი, ჩემო აისბერგო,

ამ ერთხელაც

სულში თოვლია...

მეგაზაფხულები

როდესაც გეძებდი,
უამრავ მთვარეში ძლიერ ამოგიცანი,
ღრუბლების იქით და ცის იქით დავდივარ,
როდესაც გნატრობ...
უშენოდ ვერა ვგრძნობ ტყემლების გაფრენას,
მეგაზაფხულები...
შენს მხრებზე ვიშენებ ბუდეს და ბალს
ვეუბურტულები.
ყვავილებს სისხლს ვუცვლი,
შენს გულში ვსახლდები,
ვიზრდები,
ვივსები
და შენი სურნელით ვედები ყველაფერს, -
ფერებად ვიცლება.
ჩემს ცაზე ქარვისფერ კვირტსა ვშლი
და სული ცისკრის მაქვს,
ვეჩვევი ატმებად თოვას და
ყაყაჩოდ ვთენდები.
ხასხასა მწვანე ხარ,
მეგაზაფხულები...
იმქვეყნდ იმდენ მზეს დაგინთებს უფალი
თვალებში,
გიპოვი?..

დაუკითხავად

ამასობაში ჩემთან დაზამთრდა,
ქარმაც ისხავლა ყალბი ღიმილი...
ეგ სიყვარული გამყვება ვალად,
შენი სიცოცხლე როცა გამივლის.
მე შენი ყველა ისარი ამცდა,
ფასკუჯის ფრთხები ღვთით დამებედა...
დაუკითხავად თუ გული მწვავდა,
დაუკითხავად მციოდა შენთან.
სანამ მიწად და ზეცად დაგყოფდი,
მე ნათხოვარი გზით მოვდიოდი...
როცა მეგონა აღარ მახსოვდი,
ყველაზე მეტად მაშინ მტკიოდი.
სინანულს, ვიცი, მლაშე აქვს გემო...
შენდობა ტკბება სულზე თაფლივით...
მე უშენობა წყალობად მერგო,
როცა შენს სახელს ეკლებს ვაცლიდი.
ახლა დამეა... გირეულავს მთვარე,
დაუკითხავად ისევ ავღელდი -
ერთხელ რომ მაინც ვერ მომიყვანე
ვერც მერცხალი და ვერც გაზაფხული.

შენ მთებში მაღავ ქარის იარებს
და დუმილივით ტანჯვით ათენებ...
კვლავ უხანგრძლივებ სიკვდილს სიცოცხლეს,

კვლავ აფრთიანებ ქაღალდის მტრედებს.
და გაწვიმს ისე სულისშემძვრელად -
ქედს უხრი ზეცას,
მგლის მუხლებს იყრი...
თითქოს მაცხოვარს -
ჯვარცმულს და ვნებულს,
ისევ ფერდიდან სდიოდეს სისხლი.
თითქოს მცხეთასთან
მარჯვენას გჭრიდნენ,
ისევ გესროდნენ
მონამლულ იებს...
რადგანაც სული სამშობლოდ გექცა
და უფლის ცრემლში
ვერ ჩაეტიე...

მარგარიტა

„რა მოგივიდათ, მთელ ჩემს ქონებას
მხარზე შევიდგამ და გაგეცლებით,
ჩემად რომ ვთვლიდი მთელი ცხოვრება
სხვისი ყოფილა ტყე და ჩიტები“

6. ადეიშვილი

ხო, მარგარიტა,
ყალბი ყოფილა
მზის ოცნებაც და მთვარის სიზმარიც,
სხვისი ყოფილა მწიფე ვარდები,
სილალით სავსე ბუდე მერცხლების...
მე ანგელოზებს უკურეფდი თურმე
ღიმილისა და ფიქრის ნამსხვრევებს,
ჩემი ზამთარი მუდამ ჭრელია,
დავხუჭავ თვალებს და
გაგეცლები.
ვიცი,
ახლოა გულიდან ცამდის,
როცა გასველებს მიწიდან წვიმა,
დრო როცა მხოლოდ ყოფის ცრემლია,-
ნიღაბი სივრცის და ხეტიალის...
მე უფალს ვანდობ ჩემს შემოდგომას,
ბავშვივით მუდამ მღვიძიავს და ვმწყემსავ
ფერებს დუმილის,
ბოლოს რომ მაინც
მარტივად ჰქვია
ადამიანი ან ი.

მე ვარ მხატვარი,

სულის მხატვარი,
ჩემი სამშობლოს ძვალთშესალავი,
სხვისი სხეული ვაქციე დღედ და
ჩემი სხეული ვაქციე ჩეროდ...

ვწვები სიკვდილთან

და ვეფერები
მორცხად ვეხები
ხმელ მხრებს და მკლავებს,-
ვით ყვაელივით ნაპოვნ სიყვარულს...
და, როგორც ქაღლმერთს...
ვთხოვ, დამაჯეროს,
რომ სანთლად მენორ ყველა ჭიშკართან
ამოუხსნელი იდუმალება...
რომ ყველა ჭიშკარს,
როგორც ალიონს,
კვლავ შეუღებლად უხმოდ უტოვებდი...
რომ ასე ვფერთქა გზაჯვარედინზე -
სიზმარი - ცხადი,
ყოფნა - არყოფნა,
და უფლის ცრემლად მტკივა სიცოცხლე -
ჯვარზე გაკრული ჩვილი ცოდვებით.

ხო, მარგარიტა,
თვალებს დავხუჭავ,
გულს მოგახატავ თეთრი ჩიტებით,
ნუთისოფელი სხვისი ყოფილა,
ფერთლი ყოფილა ცრემლის ლოდებიც...
ნავიღებ მხოლოდ ბოლო სიღლერას
ნამარხულები ჩემი ფუნჯების,
მოუყრი მუხლებს შენს სანაპიროს
და
მთვარესავით განვმარტოვდები...

ციურისაძე: "იმ კარტველების გვირჩვი ერთგი"

ღილაკი

სად არ უვლია, შემოუვლია,
სასახლეები, უცხო ბაღები,
ღირსება ყველგან ის წარსულია,
სისხლად რომ დადის ერის ძარღვებში.
დღეს კი... ო, ღმერთო, დღეს რას მოველით,
ანდა ის ცოდნა აქ ვის არგია,
გაყიდულია მინა, რომელიც,
დიად ქართველთა სარკოფაგია.
დღეს საქართველო აღარ ჰეგას ედემს,
დღეს გვიდგას უამი ლპობის, ნერვებისა,
ეს მინა იქნებ კიდეც დამშვენდეს,
მაგრამ არ იყოს ქართველებისა!
უარყონ, როგორც ყველა ის სული
ასჯერ ათასმა ღმერთს რომ მიჰვია,
როგორც დიდგორი – ზეობა სრული,
რომელიც თურმე არ მოგვიგია!
ნეტავი ვინ ხართ, სადა გაქვთ სული,
რად არ გაქვთ ნიჭი ხსოვნის, ცნობისა,
რად გსურთ წამართვათ უკვე წარსულიც –
ბეჭედი ჩემი ქართველობისა!
გზა სასოფტის, გზა სიამაყის –
ცად გაფრენილთა რწმენის, მონების,
გულზე ქართული – ამ მინის დაყრის
და ქართულ გენში განმეორების!
სულს ქართულს, ღმერთო, სად არ უვლია,
ვინ არ ჰყოლია კარის გამდები...
ღირსება ერის ის წარსულია
სისხლად რომ დადის ქართულ ძარღვებში!

მეცა ქართველთა გადმოდგა მცხეთას

მეცე აფხაზთა, კახთა, რანთა.... გადმოდგა
მცხეთას,
ტანს ერხეოდა ჯანდისფერი ნისლის მანტია,
– დაპატარავდა საქართველო?! – შეპბლავლა
ზეცას
და ხმალი სიმწრით შიგ ვადაში გადაამტკრია.
ეს როდის გახდა ჩემი ხალხი უვიცი, ურცხვი,
ომიც ვიცოდით, ერთობაც და ძმური ნადიმიც,
შეურაცხყოფას ვით ვპასუხობთ, თუ აღარ უწყით,
მხარგრძელს ჰყითხეთ და... ლანდად ქცეულ ელჩს
რუქნადინის!
თბილისზეც გეტყვით... გააჯერა ხისხლით
ომებმა,
მედროშეც იყო, მეომარიც, ბრძენიც და მჭევრიც,
და ვისაც თბილის, დღესდღეობით, არ
ედგომება,
ეს უკვე მისი პრობლემაა და არა – ერის!
ჰო, ქართველონ, დაგბინდვიათ უკვე გონებაც,
რომელ ეთნოსზე ლაპარაკობთ, რა უცხო გენზე?
რაც თავი გვახსოვს, ისტორიას, „ქართლის
ცხოვრებას“
აქ, სამშობლოში, ისტორიულ მამულში წერდნენ
ის წინაპრები – ქართველები ხორცით თუ სულით,
დღეს მათი ღვანლი ქვიშასავით ფეხექვე
შვავდება,
რა ადვილია ცემა, ისიც ხელფეხშეკრულის,
მაგრამ კაცს, ქართველს, რომ იცოდეთ, არ
ეკადრება!
სხვა რაღა ვითხრათ? აგინონით უფალი მისხლივ
ხვალ თქვენს საქმეს და... მიზანს და ღვანლს
თქვენი თაობის,
იქ გამოჩენება, მაგ ძარღვებში ვის გიდით სისხლი
და ვის ნარჩენი, ნაწერტალი მყრალი ჭაობის!

ანგელოზებო, არისეთ ზარი...

ყიდიან ტყებს, ყიდიან მთებს და...
ვინც ხმას გაიღებს – საენებში ყრიან,
ისიც კარგია, თუ ბოროტ ბედად,
არსად გისხლიტეს ვერაგი ტყები!
ბიჭუნა წითელ ჰალსტუხით, ფრაკით,
კმაყოფილია ერთობ ცვლილებით...
სადღაც კი, ხალხი, გზად, სკვერში, პარკში,
ლაპარაკობენ „ჩარეცხილები“!
გაყიდულია ზღვა და ხმელეთი,
ისტორიაც და ჩვენი დიდებაც,

ხალხილა დარჩა... თქვენ ხომ ვერ მეტყვით,
ეს ხალხი რატომ არ იყიდება?!
სადღაც ლხინია, ტაშ-ფანდურები,
ვიღაცა სტუმრობს ბოდრუმს და მარსელს,
სადღაც კი მოით დაზაფრულები,
ფერფლსა და ნაცარს იყრიან თავზე.
შეიღებს გვიკლავენ, ყველა ომს ვაგებთ,
(ვაი, ტკივილო, ახალო, ძველო!)
ნაგებულ ომზე თქვეს, რომ მოვიგეთ
და იზემა მთელ საქართველომ...
უსმენდით, გვნამდა, დიდხანს ვითმენდით,
არადა, რაც თქვეს, აღარც კი ახსოვთ,
ნამათხოვრალით, სხვისი იმედით,
როდემდის გავძლებთ, როდემდის, ხალხი?!
მაგრამ ჩვენ გვახსოვს, ჩვენ ვიცით ფასი,
ერთიანობის, ქართულ დიდების
და... ანგელოზნო, არისხეთ ზარი,
გა მო დ ვ ი დ ე ბ ი ს !

ყოფის გზა რთულია, ირიბი, დამრეცი,
ციცაბო და თანაც სველი,
თუკი წაბორძიკდი, თუ ერთხელ დაეცი,
ადგომა იქნება ძნელი!

სიტყვა – მაღამო და სიტყვა – ირონია –
ბედის ირონია, მწველი,
ლამაზად ლაპარაკი ძალიან იოლია,
ლამაზად ცხოვრება – ძნელი!

ზოგჯერ მუხის გვერდით ლენცოფაც იზრდება,
ტკივილიც ახლდება ძველი,
დიდ ფულსაც იშოვი, თუ ძლიერ გჭირდება,
დიდ კაცად ყოფნა ძნელი!

ვიღაც გაიმედებს, ვიღაცა გაღონებს,
ვიღაცა თავის დროს ელის,
დასჯა ადვილია, თუ გერჩის ძალ-ლონე,
შენდობა – რატომდაც, ძნელი!

ხშირად დაპირებაც ფუჭი ქადილია,
ლიმილი – არც ისე წრფელი,
მადლის ქადაგება მუდამ ადვილია,
მადლის ქმნა – საოცრად ძნელი!


გზები შვეულია, ირიბი, ციცაბო,
მზერა უღიმდამო, სველი,
სიცოცხლე იოლია (კარგია, იცოდე,
ცხოვრება – რთული და ძნელი!)

შენ ვინ გშობა, ბოროტებავ,
ვინ გაგიყო ხემსი,
ვინ ჩათესლა ჩვენს მინაში
მტრობა, შური, გესლი...
საქართველოვ, სათხოების
და სიკეთის შესვი!

ნივის ტყვია, განწირულთა
კვლავ არავის ესმის,
ამოძირკვეს კიდევ ერთი
ერის ჯიში, ფესვი;
საქართველოვ, შენდობის და
მათი ხსოვნის შესვი!

მუდამ გვნამდა წინაპრების,
მათი გზის და გეზის,
„ხმა ღვანლა და ხმა ერისა“ –
იყო ყოფის ნესი,
საქართველოვ, იმ დიდ რწმენის
გადარჩენის შესვი!

ბეჩავო წუთისოფელო,
ვერ მოგიდექი მოითა,
არც კარი, არცა ნაპრალი,
არც მაძახური შორითა,
არცა გზა, არცა ნიშანი,



გარიბა ხმალა

არცა ნაჭდევი ხეზედა,
მხოლოდ ღრუბელი ნანაობს
მაგ შენს ფრიალო თხემზედა!
ავაი, წუთისოფელო,
არსად აგიცდა მიზანი,
ვის სად მარჯვენა ჩაჰკაფე,
ვის მუხლი მისნი – მგლისანი,
ხან ჩაჰაშე ნათელი,
ელვათ ჰკვესე ხან ბნელი,
ვერვინ ამოგდო ლაგამი,
ვერ დაგიჭირა საბელი,
ვერვინ... არადა, არ ვიცი
რა ჯადო-ხიბლი გდებია,
ყველას ყელს ამოუხვედი,
მაინც... შენ გეჭიდებიან!..

ქართველებო, რად არ გიყვართ ერთმანეთი...

ტყვია, როგორც... დღეს სამსალის ბოლო წვეთი
და გულებში სიძულვილის ქარტეხილი,
ქართველებო, რად არ გიყვართ ერთმანეთი,
რად არ გტკივათ საქართველო – დაჩეხილი?!
იწურება, თითებს შუა ქონავს ბედი
სადლეისო, სამომავლო, მატიანის
და ბერია, ძლიერ ბევრი... ცრემლი დედის
და სიკედილი დაუნდობლად ატიალებს,
რაც ყოფილა, რაც არის და... რაც იქნება
ჩვენს ხსოვნაში, გულში, გენში, სიზმარეთში,
ეს სამსალაც, მოვა დრო და დაიცლება,
ამოშრება ამ სიგიჟის ბოლო წვეთიც
და გაქრება, სულ გაქრება, ის რაც იყო,
და სამშობლოც სულ სხვა ფერით იყვავილებს.
დღეს კი... ღმერთო, ეს ცხოვრება სად გაგვრიყავს,
კივის გენი... ვინ მოისმენს, ვინ გაიგებს...
და კვლავ ტყვია... ტყვია თუ დავიწყება,
ჩვენს გულებში უფლის სხივის, მადლის წვეთის,
სიძულვილი მისი ნება ვერ იქნება...
ქართველებო, რად არ გიყვართ ერთმანეთი?!

გაღლა ღმერთია და ძირს... მამული

ფიქრობთ, არ მეყო ჭკუა-გონება,
მეშვეა ქვეყნად დიდი ქონება...
და რომ არ ვიცი ფასი ზეობის
ანდა განცხრომის, კეთილდღეობის;
არ ვიცი, როგორ ვამრავლო გესლი,
გადავჭრა მუხის ძირძველი ფესვი,
შევერწყა დროის ფასადს და იერს,
წავართვა ლუკმა ობოლს და მშიერს,
ვისწავლო მორქმით ყოფის ანბანი,
გაყვიდო ჩემი ქვეყნის მთა-ბარი –
მინა წინაპრის, ასგზის ვნებული,
სისხლა და გენში დავანებული
შხამში ჩავახრიო მტკიცე, ლომგული,
მამულს მეც მოვხსნა ერთი ქონგური,
შვილებს წავართვა იმედი ხვალის,
გადაუხდელი დავუგდო ვალი,
დავთესო შური, ცოდვა და ვნება
(თქვენსავით, გულმა თუ მომცა ნება),
მაგრამ რომ მახსოვს, მუდამ რომ ვიცი,
ჩემი წინაპრის რწმენა და ფიცი?!
რწმენა, რომელსაც გვერდს ვერ აუგლი-
მაღლა ღმერთია და ძირს მამული!



გიორგი გერთეველი

რა ჩედიერი დღე არი

მოვედი,
თქვენთან მოვედი,
ალალი და გულმზიანი...
შეხედეთ,
ყველა ერთად ვართ,
რა ბედნიერი დღე არი!

დღეს შევერებილვართ ყველანი
ერთურთის გასახარადა,
არ დაგვშრობია მელანი,
ცრემლი აღარ გვდის ლვარადა!

ჯანდაბას იქით წასულა
გესლი,
შური და
ნალველი,
ვისაცა ვთვლიდით ავსულად,
არ ისმის მისი სახელი!

ჩვენს ხილვით გაბრწყინებულა
ბარი,
ზეგანი,
მწვერვალი...
შეხედეთ, ყველა ერთად ვართ,
რა ბედნიერი დღე არი!

გული მეძახის:
— გალალდი,
დატკბი და გაიხარეო,
ხედავ, რა ამაყი არის
შენი ლამაზი მხარეო?

გამხიარულდი, გეთაყვა,
გულში ჩახჩახა მზე არი!..
შეხედე:
ყველა ერთად ვართ,
რა ბედნიერი დღე არი!

ვიცი, მოხდება

ვიცი, მოხდება მალე,
რასაც ქართველი ფიქრობს –
ქართველი ოსს და აფხაზს
გაუნაწილებს სითბოს!

სოხუმში იავნანას
იმდერებს ქართველის დედა,
შეხვდება ოსი ქართველს
და დაუამებს სევდას!

გაგვითენდება დილა,
ერთად ვიქებით ყველა
და ჩვენს ულრუბლო ცაზე
გაჩნდება ცისარტყელა!

ერთად გადვიხდით ქორნილს,
ერთად გვექნება ლხენა...

ვიცი, მოხდება ასე,
გულწრფელად მნამს და მჯერა!

და არ ვიქებით მონა
არც რუსის, არცა სხვისა,
გალალებული ოსი
ქართველს გადასცემს სირჩას!

გაგრის პლაზზე კი ქართველს
აფხაზი ეტყვის გულით
— ჩვენ ვართ ნამდვილი ძმები,
ეს სიმართლეა სრული!

ჩვენს შორის ლალად იფრენს
მშვიდობის თეთრი მტრედი,
დაიჯერებენ სხვებიც,
ჩვენ რომ არა ვართ მტრები!

ჩვენით იხარებს ზღვა და
იშრიალებენ ხენი
და გახარებს უფალს
ბედნიერება ჩვენი!

მზემ თითქოს თვალები დახუჭა,
ცაზე მოგროვდნენ ღრუბლები,
ჯერხნობით ჩუმად არიან,
ალბათ, არიან უბრები!..
ნეტავი, მათთან მამყოფა –
ხმატკბილად ვესაუბრები!

ლიტერატურულ შხამით

გათენებამდე ვწუხვარ
ლიტერატურულ შხამით.
გალაკტიონი

ყოველდღე ვეძებ რითმებს,
კიდევ ვამაყობ ამით,
მერე აღვამდვრევ ფიქრებს
„ლიტერატურულ შხამით!“

მივეფიცხები ბუხარს,
მფარავს სიზმრების შლამი...
„გათენებამდე ვწუხვარ
ლიტერატურულ შხამით!“

გალალებული გული
ბევრჯერ დავატკბე კალმით
ან გავუჩინე წყლული
„ლიტერატურულ შხამით!“

მზით დასიცხული ბევრჯერ
დამფარა ჩრდილმა პალმის
და დაწყნარება შევძელ
„ლიტერატურულ შხამით!“

მე გავათეთრე ღამე –
განა ორი და სამი,
ცრემლით ვალბობდი წამებს
„ლიტერატურულ შხამით!“

როცა მივყვები აღმართს
თავსველი დილის ნამით...
გულზე მატყვია დაბრდა
„ლიტერატურულ შხამით!“

ვეძებ სიკვდილის მიზეზს
მდგარი ქიჩოზე ხრამის,
გაბრუებული ისევ
„ლიტერატურულ შხამით!“

ვიცი, ბოლოს და ბოლოს,
გაფერმკრთალდება უამი
და მე მოვკვდები მხოლოდ
„ლიტერატურულ შხამით!“

პიშვობი!

აზვირთებული მიდის მდინარე,
არ მეშინია მისი გაცურვის,
ახლა მე მინდა, ქერუბიმივით,
სუყველას გითხრათ სიტყვა კაცური:
— ამდენი ბოლმა,
ამდენი შური,
დინოზავრივით რომ გაწოლილა,
როდის ყოფილა ქართველთა შორის,
სად გაონილა?!
სად გაგონილა?!

ერთი მითხარით,
უმისამართოდ
როდის მიუშვით ლაგამ-ალვირი?
სადმე გინახავთ,
სადმე გსმენიათ,
ასე უმიზნოდ სისხლი დაღვრილი?!

თქვენ ხომ ყოველთვის
ერთმანეთისთვის
მხოლოდ ალერსს და სითბოს ექებდით?
გემუდარებით,
გეალერსებით,
ძმებო, შეჩერდით,
ძმებო, შეჩერდით!

აჰა, აღარ ჩანს
ბულბული არსად
და აღარ ისმის შაშვის გალობა,
პილიგრიმივით გაოცებული
ზიზლით გვიყურებს შთამომავლობა!

არ მენაღვლება,
ამ მდინარეში
თუ დავიხრჩიბი და ვერ გავცურავ,
ოლონდ კი შენთვის,
ჩემო სამშობლოვ,
თევდორესავით მოვკვდე კაცურად!

არა აქვს აზრი
ახლა, ბიჭებო!
პატარები ვართ თუ ვართ დიდები...
უჭირს ქვეყანას
და... საქართველოს,
ბიჭებო!
ყველა ერთად ვჭირდებით!

დღეს სამშვიდობო ერთი მისხალიც
მილიარდი ლირს,
არა შაური,
ახლა უბრალო თოფის გასროლაც
იქნება დიდი დანაშაული!

ყოველ წუთს რაღაც ცუდი მოგველის
და რაღაც ცუდი გვაქეს დასანახი,
და ყველამ ფასი უნდა იცოდეს
თუნდაც გამხმარი ლერი ბალახის!

არა სჯობია,
ერთად ვაშენოთ
სვეტიცხოველი,
გრემი, ხახული?!
ძმებს როცა ესვრით ტყვიას,
ბიჭებო!
მტრისთვის რაღა გაქვთ
შემონახული?!

თქვენ ხომ წინაპრის
გენები გკვებავთ
და იობივით იცით გატანა...
ლვთისმშობელია თქვენთან,
ბიჭებო!
რად დაგიმონათ ასე სატანამ?!

— მხოლოდ ერთობა,
მხოლოდ ერთობა!
გვიხმობს დავითი,
გვიხმობს თამარი...
რა დროს ბოლმაა,
რა დროს შურია,
სიყვარულია ახლა მთავარი!

კართული და ლაზები პირზოგრამები

ବୋରାକିତ୍ତାଳୀ ନାମବିରଳିକା

სამეცნიერო ლიტერატურაში აღია-
რებული თვალსაზრისით, დამწერლო-
ბის უძველეს სისტემებს (მათ შორის
შუმერულ-ლურსმულსა და ძველეგ-
ვიპტურ - იეროგლიფურს) ხშირად წინ
უსწრებს პიქტოგრაფიული ანუ დამ-
ნერლობის ხატოვანი სისტემა. საქარ-
თველოს ტერიტორიაზე სადღეისოდ
გამოვლენილი პიქტოგრამები, ძირი-
თადად მატერიალური კულტურის ძეგ-
ლების, ჯვარ-სალოცავების, ციხე-კოშ-
კების, ადრექრისტიანული ეკლესიების
მშენებლობისას გამოყენებული პირ-
ველი და მეორადი მოხმარების ქვებზე
დასტურდება. ისინი ძირითადად გეო-
მეტრიული ფიგურებია. – ასტრალურ-
კოსმოგონიურ-კოსმოლოგიური სიძ-
ბოლოები და ნაწილობრივ ანთროპო-
მორფული, ზოომორფული ფიგურები.
მეცნიერების მიერ დამონშებული ანა-
ლიგიური ისტორიული დამწერლობის
ნიშნები ეკუთვნის უძველეს ხალხებს,
მათ შორის შუმერებს, ეგვიპტელებს,
კრეტელებს, იძერიელებს და ეტრუ-
კებს.

მეცნიერული ინტერესი საქართველოს პიქტოგრამების (ხატოვანი) კომპლექსური შესწავლისადმი ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა, თუმცა იმხანად ფართომასშტაბიანი კვლევა ვერ განხორციელდა. 2002-2010 წწ. ჩვენ მიერ აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში გამოვლენილ იქნა არაერთი პიქტოგრამა და დადასტურდა პიქტოგრაფიული სისტემა. მოძიებული ფოტომასალა ჯერ ფოტოგამოფენაზე და შემდგომ მონიკრაფიის სახით გამოიცა (ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ობ. 2010 ავტ. გ. გიგაური). ამავე მონიკრაფიაში ნარმოდგენილ იქნა შედარებითი ცხრილი მსგავს ნიშნებთან, რომლებიც გავრცელებული იყო დიდი ისტორიის მქონე ქვეყნებში. მეცნიერებმა ერთხმად აღნიშნეს კვლევის აუცილებლობა მთელი საქართველოს მასშტაბით და ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე.

2010 წლის პერიოდისათვის გამოვ-
ლენილი და მოძიებულია 170-მდე ქვა
900-ზე მეტი ერთეული სკრიპტოგ-
რამით (ფარული ნიშანი) და პიქტოგ-
რამით (ხატოვანი ნიშანი). 2011 წლის
ზაფხულში ჩვენს მიერ პირაქეთა ხევ-
სურეთში მიკელეულია და დაფიქსირე-
ბული კიდევ რამდენიმე ნიშნიანი ქვა,
მათ შორის ე.წ. „მინანის ქვა“, რომე-
ლიც „კარატის“ ჯვარ-სალოცავის შიგ-
ნით ინახებოდა

(„მინანი“ იყო ქურუმი და ქადაგი მი-
თური ქალი, რომელმაც ჯვარის მსახუ-
რებას დაუდო სათავე და დააარსა გუ-
დანის ჯვარი, კარატის ჯვარი, ხახმა-
ტის ჯვარი).[1] ხალხური ტრადიციული
წინაქრისტიანული ღვთისმსახურების
კულტურა და პიქტოგრაფიული სისტე-
მები რამდენად ურთიერთკავშირშია,
ეს საკითხი ლრმა კვლევას მოითხოვს.

აღნიშნულის კონტექსტში, საქართველოს სივრცეში ფართოდ გავრცელებული პიქტოგრამების და პიქტოგრაფიული სისტემის მოძიება, პასპორტიზაცია და მათი ფუნდამენტური, ყოველმხრივი ანალიზი, ურთიერთშეჯრება, კლასიფიკაცია ჰუმანიტარული მეცნიერების ფუნდამენტური კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს განეკუთნება. პიქტოგრაფიული ნიშნების გვერდით ანალოგიური დეკორატიული ორნამენტიების არსებობა აჩვენებს იმ უწყვეტ ტრადიციას, რაც ჰქონდა უძ-



ველეს ხალხებს. ამ მხრივ საინტერესოა
ქართული და ლაზური დეკორატიული
გამომსახულობის ფორმები.

საქართველოში და საზღვარგარეთაც ცნობილი იყო ისტორიული ლაზური წესით ხის და ქვის მხატვრული დამუშავების კულტურა. იბადება კითხვა – რა ტრადიციას ემყარებოდა ლაზური დეკორის სიმბოლოები. ძვ. ბერძნული ისტორიული ინფორმაცია „კვირბებთან“ (კოლხურ-ლაზური დამწერლობა) დაკავშირებით საინტერესო აღნერებს იხახავს (პროკოფი კესარიელი, იოანე ლიდე, აგათია სქოლასტიკოსი და სხვა) [2]. ლაზი ოსტატები ისტორიულად საუკეთესო მშენებლებად და მეზღვაურებად მიიჩნეოდნენ. მათ ხის მხატვრული დამუშავება ტრადიციით გადაეცემოდათ, რომელიც დღევანდლამდე კიდევ ცოცხლობს. მიუხედავად იმ მდგომარეობისა, რომელიც ღვთისმსახურების შეცვლას მოსდევს, ლაზურგამომსახველობით დეკორში ხშირად არის შენარჩუნებული ისტორიული, ტრადიციული მხატვრულ სიმბოლოთა ფორმები ა (ბორჯლალოები, ვარსკვლავები, სპირალები და სხვა გეომეტრიული ორნამენტები) [3].

„ქვანჭარერი“ (ქვა წერილი).

ძველ კოლხებს – ლაზებს ურთიერთობა ჰქონდათ შორეულ ქვეყნებთან და ინფორმაციის შენახვა- გადაცემა აუცილებელი იყო. ლაზეთის ისტორიულ ტერიტორიაზე ბევრი მატერიალურ- კულტურული ძეგლია და მათი მოქალაქეთა მომავალში ახალ აღმოჩენებს გვპირდება. ლაზურ დეკორატიულ ორნამენტიკასთან დაკავშირებით გამოცემულია რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია აკად. გ. ჩიტაიას შრომები [4]. ლაზურ დეკორში ასტრალური სიმბოლოები ისეთივე ჩვეული მოვლენაა, როგორიც საერთოდ ქართულ ტრადიციულ დეკორატიულ სიმბოლოებში. ანალოგიური თანხვედრა დეკორატიული სიმბოლოების ჯგუფებში მკვლევარებს შორის ერთნაირ აზრს წარმოშობს: რომ ყველა მსგავსება დადგენილ წესს ემსახურებოდა. წესს, რომელიც რწმენით იყო განცილობებული და აპოტროფიული, დაცვითი ფუნქციაც ჰქონდა კონ-

კრეტიულ საგანზე ან ობიექტზე. პალე-
ოგრაფების მიერ გამოთქმულია აზრი;
რომ პიტოგრაფიული ნიშნების გვერ-
დით ხშირად დეკორატიული ანალო-
გიური სიმბოლოებია. დეკორი უფრო
სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა
და დღევანდლამდე ინარჩუნებს ფუნქ-
ციას. დღეს გვაქვს ინფორმაცია, რომ
ლაზეთის მთიანეთში (არქაბის იალად-
ზე) დაფიქსირებულია ქვაზე ძველი
კვეთილობა

(ინფორმაც. Erkam Aksu). ქვა აღმო-
ჩენილია ზღვის დონიდან 2000 გ. მთებ-
ში, სადაც არქაბის ისტორიული ლაზე-
ბი ცხოვრობდნენ. ამას ტოპონიმებიც
ადასტურებს: ხევეკის ხეობა, დუდებე-
ზიზენი, სირპონა, ოდოლისქური, ნეკ-
ნარი, ტობამგზა, გოლაზენა და სხვა
ქვაზე გამოსახულია ანალოგიური ნიშ-
ნები, რაც ფიქსირდება საქართველოს
სხვა რეგიონებშიც (სპირალები, წრი-
ული ფიგურები, წრეები, გადაჯვარე-
დინებული სიმბოლო-ნიშნები, ტეხილ-
ტალღოვანი სიმბოლოები და ზოომორ-
ფული ფიგურა). ნიშნები ლოკალურია
და კონკრეტულ ქვაზე დაკვირვებით
ასეთი შთაბეჭილება გვრჩება: ას-

ტრალურ-კოსმოლოგიური ხასიათის ნიშნებით უცნობი წარმოდგენა ან ტერიტორიული ადგილების აღნიშვნა და ამ სქემის შენახვა-გადაცემა შემდგომი თაობებისთვის. ლაზეთის მთიანეთში შემორჩენილი ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ამ რეგიონშიც არსებობდა ინფორმაციის გადაცემის პიქტოგრაფიული ტრადიცია, რომელიც ღრმა შესწავლას მოითხოვს. ისტორიული ძვ. ბერძნული ლიტერატურული წყაროები საინტერესო ცნობას გვანვდის ლაზეთის და კოლხეთის შესახებ. ლაზეთს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში, როგორც თავ-წყაროს ძველი ქართული კულტურისა. [5] ისტორიული კოლხეთი, შემდგომ ლაზეთი, გეოგრაფიულად იმ ადგილას მდებარეობდა, სადაც შემორჩენილია ბევრი მატერიალური კულტურის ძეგლი, მათ შორის, ადრეშუასაუკუნეების ქართული ქრისტიანული ტაძრები.

პიქტოგრაფიული ნიშნების პრო-
ფესიულად მოძიება, ფიქსაცია, აზომ-
ვა, ჩანახატების გაკეთება, მონოგ-
რაფიების გამოცემა ხელს შეუწყობს
ქართული დამწერლობის სათავეების
და ქართული ეთნოკულტურის ისტო-
რიის რეკონსტრუქციას, ასევე უძ-
ველესი ცივილიზაციების ქვეყნებში
მიმდინარე პროცესების და ამ ზოგად
პროცესში ქართველთა ჩართულობის
ხარისხის წარმოჩენას. იბერიულ-კოლ-
ხურ-ლაზური ისტორიული პიქტოგ-
რაფიული ნიშნების თავისებურებების
გარკვევა, სამეცნიერო ლიტერატურა-
ში მათი წარმოჩენა და პალეოგრაფიუ-
ლი დასკვნების გაკეთება საშური საქ-
მეა. პიქტოგრამების სრულყოფილად
აღრიცხვა გადაარჩენს არტეფაქტებს,
რომელთაც სხვადასხვა გარემოების
გამო განადგურება ემუქრება. ჩვენი
აზრით, ასევე სასურველია, შეიქმნას
პიქტოგრამების, სკრიპტოგრამების
და პეტროგლიფების შემსწავლელი
სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ითა-
ნამშრომლებს მსოფლიოს სხვადას-
ხვა ქვეყანაში არსებულ ანალოგიურ
სტრუქტურებთან, რაც საშუალებას
მოგვცემს, შეიქმნას პიქტოგრამების,
სკრიპტოგრამების და პეტროგლიფე-
ბის გლობალური სისტემები.

ხელოვნებათმცოდნე-სკრიპტოგრაფი





რაშიდ ფახრალი

დაიბადა ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოში. და-ამთავრა პედაგოგური ინსტიტუტის და ბაქოს სახელმ-ნიფო უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბოლნისის რაიონული გა-ზეთის კორესპონდენციად და რედაქტორის მოადგილედ. 1990 წლიდან ქ. ბაქოში ცხოვრობს. ამჯაմად სამხედრო ტელესტუდის რედაქტორია. არის 30-შემდეგ ნიგნის ავ-ტორი. ლექსი ამოღებულია ახლახან დაბეჭდილი ნიგნი-დან, „შეხვედრა“, რომელიც გამოსცა კულტურის ცენტ-რმა „ვარლიგ“. რედაქტორები: რაფიგ გუშამია და გური ტურბაია. თარგმანი ეკუთვნის იმირ მაჟედლის.

აზერბაიჯანული პოეზია მაგალი თოდებასა და ზეზია მედულაშვილის გასაოცარმა ქართულმა თარგმანებ-მა შემაყვარა. სხვა ფაქტორებით ერთად, ამანაც გადამაწყვეტინა, შემექ-მნა საშვილისვილო გამოცემა – „კავ-კასიური სულიერება“, სადაც გამორჩეული ადგილი უკავია აზერბაიჯანის თვითმყოფად პოეზიას. წლების გან-მავლობაში მონუმენტური გამოცემა ნელ-ნელა ჩამოიძერნა; აქ მარვალი საინტერესო ნიმუში მოგროვდა მარ-გალიტი ბაიათებიდან მოყოლებული – ნიზამის, ვაგიფის, ახუნდოვის, ისა ისმაილზადეს, შედარებით ახლე-ბის... თვით სტუდენტობის მეგობრის – იმირ მამედოს სუფევით, მაგრამ, ჩემდა საკვირველად, ამ სივრცეში რა-ტომლაც არსად ფიგურირებდა XX-XXI საუკუნეთა გასაყარის ტრადიციული ლექსის ბურჯი რაშიდ ფახრალი. იგი ჩემივე პოეტური ბედისწერის პირვენება აღმოჩნდა, რომელმაც თავისი კუთხე-საძვალეთი ნაილო-მანა პოეზის უდასასრულო გზაზე რონინისას. დიას, რონინისას, ვინაი-დან რაშიდ ფახრალის სიტყვიერების

რანგი – ამაყი ფრთონვაა, ზეფირებ-ში ფარლალიანობა (დარწმუნებული ვარ, ორიგინალში იგი გაცილებით დაწევებულად კამკამებს, მიუხედა-ვად იმირ მამედლის ჩინებული გად-მოქართულებისა); და მაინც, გოეთესი არ იყოს: ჰაფეზის ლექსების თარგ-მნა ხომ იგივეა, რაც მთვარის შექის ლარნაკში მომწყვდევის უბადრუკი მცდელობა?!

იყო დრო, როცა რაშიდსაც ჰყავ-და დედა და ესენინივით ებასებოდა ტანია მშობელს, რომელიც ერთხელ ზეაიტაცა კიდეც ტანკას ავტორმა და სიმიმისგან ვეღარ ზიდა. პოეტი დარ-წმუნებულია, ერთხელ იქნება და აინ-თება მისი სიტყვა „თვით გულიდან ენამდინა. მასაც ჰყავს კარის მეზობე-ლი ნაკვერჩხლიდან ფერფლამდინა“. მაგრამ, როგორც ყველგან და ყოველ-თვის, ქვეყანა საჭირისუფლო ნავია და არსათაგამრიგემ უწყის ჯეროვნად მხოლოდა, ვინ არის მეტი დამნაშავე, ჩევენი რაშიდ ფახრალი თუ საწუთო – ოკრობორი დუნია?

„დუნია“ სოფელია აზერბაიჯანულად, თუმცა მკვიდრად ჩახისტულა

იგი ჩევენს კილოკავებში „ენგილუ-ნიად“ – „ენ-ქი-დუნია“ -დ უშორესი შუმერული სივრცეების სარესტავ-რაციონ. და იმის ალსადგენადაც, რასაც ალბანურით – კავკასიური თეთრი ადამიანის ბროლებულებით გაჯერება ჰქვია ევროპეიდულის რა-სის ჩამოსაქანდებებიდან; და აქ, ამ მამითადში, შეუდარებელია ჩევენი რაშიდი, როგორც მეციხვნე, რო-გორც მაჯაშისა შემტყვებარი საკუ-თარი დედულ-მამულისა – რაშიდი მთელი ფახრალო; რაშიდი მინია-ტურული აზერბაიჯანია: გნებავთ, პლანეტა ჩევენი, დღე-ლამის მონო-ტონური მონაცევლებით: „ტანი არ გააჩნია, გმინავს ქვა და კედელი. თვა-ლებს ფართოდ ახლილს, საიდუმლოს გამელილს, შერჩა მხოლოდ სახელი, გმინავს ქვა და კედელი“. და აქ, ამ მი-უსაფარ და გაუტანელ საადამიანოში გულის სიღრმედან აღმოხდება პო-ეტის: მეც შენებრ ქვა ვარ, მერწმუნე, ქვაო, საფლავის დარაჯო! რაშიდის სიტყვებს იზეპირებენ, ლექსის სულს უბერავს, თვალებზე ლიბრი გადაეკ-ვრება, ბინდურნის ფერად აღიქვამს დღეეკთილს – სულ ასე უნდა ბოლავ-დეს იგი წყალუხვ მდინარესავით, რო-მელიც ბოლომდე ვერვინ გაცურა. რაშიდის ფლოებზე ლიღინებს მთა და მდელოდა, რომც ხალიჩად დაეფინოს სავალებს, ამ გოგონას მოენონება, ნე-ტავ კი? და მაინც, და ჯიუტად ერთ-გულებასავით გაუბზარავი დგას ბა-იათი ბების მიერ თქმული გულშიმნ-დომლობით... ეს იგივე ყრმობისდრო-ინდელი დიდედასეული ზღაპრებია, ჯადოსნური ხალიჩებითა და უჩინმა-ჩინის ქუდებით; ეს იგივე ჩევენი შეურ-

ყვნელი ბავშვობის ოაზისებია, საიდა-ნაც მოვხმანებთ ყველანი ეგზიუპე-რისა არ იყოს – ჩევენი ფახრალოდან, ჩევენი ფშავიდან, ჩევენი ოტობაიდან... ფოთლებისა და წყაროს თვალით გასცერის შორეთს რაშიდ ფახრალი და ეს ხმიანობა მტკვრის დუდუნში ბა-რათაშვილისა და ვაგიფის ინტონაცი-ებს გახსენებს თავისი რეფრენებით, ტრადიციული ლექსთნული მორჩილი მორჩილებით, მაგრამ არა ყურმოჭრილი მორჩილებით.

თვალები ეწვის ჩევენს რაშიდ ფახ-რალს, გრიგალს გრძნობს ზურგით, გზად ქვები ყრია, რომლებიც ბეჭებ-ში მოყისმათნენ მამულისკენ მომა-ვალს; და ეს არ არის გამადიდებელი შეუბებით ორლობები სირბილი, როცა სტრიქონი ლორკას „დუნიდეს“ საკ-ლისობს, ან აკავის თვითნაბადობას, ასე რომ მიეტყოდა გალაკტიონი; ან კიდევ – დართებრივ უბრალოებას, ბევრი ბლოტიალის შემდეგ ერის ცონ-ბიერებაში რომ გროვდება, თუნდაც ტიტულიანი ესთეტიკოსები არა გნე-ლობდნენ აღმოსავლეთ-დასავლე-თისა. და, სანამ პოეზიის ჭეშმარიტი ალქიმიკოსებისგან გაურკვევლობის, აურნყაობის მომთენთავი ბურუსები არ გაფანტულა, იძულებული ვართ, ისევ რაშიდის – ამ მსოფლიო პოეტის სულიერების ყველაზე მართებულ მსაჯულს – რუდუნებით ნაჩორკნ მის-სავე სტრიქონებს მივუგდოთ ყური.

გური თტობაია

მნერალი, საქართველოს მნერალთა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა „იბერიის „მთავარი რედაქტორი

აი, თქვენი რაშიდი

1. ფახრალო მისი რწმენა და მიზანი, მისი წმინდა სალოცავი ფახრალო. ფახრალო მხოლოდ ჩევენთა გულობით მისანი, ვინ არ იცის, გულში მზეზეც მაღლა როა.

ფახრალო, ძარღვებში
რომ სისხლი მიჩქევს,
გაგიმზილოთ ყველაფერი,
ახლა დროა.

სანუკვარი, საფიცარი, უწმინდესი მშობლიური ჩემი მხარე ფახრალო.

გაიხარეთ, ოლონდაც
არ გაგიკვირდეთ,
სულთან, გულთან იგი
ეგზომ ახლო როა.

არც განძი მსურს,
არც სიმდიდრე ქვეყნიერი,

ჩემი განძი და

სიმდიდრე ფახრალო.

2. თავისი ტკბილი სიტყვით და საქმით ძალა შეკმატა მზესა და ცასა, აქ მოვლინა ქვეყნიერებას და შეერია ვით თევზი ზღვასა.

აქ ღმერთის ხელით
დაინთო ცეცხლი
და შთაებერა სული, ვით მთასა.
თავს აქა გრძნობდა სულთან
და მეფედ,
არ მიელტვოდა სასახლეს სრასა.

გულდარდიანს თუ ნახავდა ვინმეს, შეენოდა სიცოცხლის ფასად. გული გულადად უცემდა მუდამ და გაპეტევია ჭირ-ვარამს არსად.

მთას შეხედავდა და შეუქებდა მაღალ მწვერვალებს, ქარაფებს, ქვასა.

შავს არასოდეს იტყოდა თეთრზე და არ აქცევდა ცხოვრებას ფარსად.

3. ავ კაცს მოკლავდა
გამჭოლი მზერით,
იტყოდი – მინას მიახვრიტაო,
კარგს შეაქებდა ლალი სიმღერით,
გამოიწვევდა ავს საღლიტაოდ.
ის დაიბადა მართლა რაშიდად,
მოურეველი ვალს უფარხმალოდ.
ვინ გადმოაგდებს სიტყვის რაშიდან,
ვინ გადმოაგდებს რაშიდ
ფახრალოს!..

4. აიქოჩოს ქარი თუნდაც,
მე თავზე ვერ გადამიფრენს,
აიღეს მისი ხმალი
ვერ გადაჭრის ჩემს მკვრიც ფიქრებს.
ჩემი სიტყვა სარკე არის,
ვერ გატეხავს, ქვაც კი ვერა.
ზღვა მდელვარებს ჩემს თვალებში,
ვერ გასცურავს ვინმე, მჯერა.
წუთისოფელს წუთად გალევს,
არ გაწელავს უქმად დროსა.

ვერ იცხოვრებს ქვეყანაზე,
ვინც ქვას ესვრის ფახრალოსა!

...ნუ მოჰყვება ნურვინ ტრაბახს,
ნუ შეარჩევს მუქსა ფერებს.
გზად კლდედაც რომ აღიმართოს,
მე ვერავინ შემარებეს!..

5. თუ გცივა, მოდი, ხელი გაითბე,
აი, ამ კოცონს ჰქვია რაშიდი.

ვინც სიტყვას ეტრიფის და ეფიცხება,
მათვის სითბო და მზეა რაშიდი.
ის უძლებს წვიმას,
ქარს და ქარიშხალს,

ის ხე შეამიან ნაყოფს არ ისხამი.
სად საჭიროა, იქვე დარისხსავს,
სიტყვის ერთგული ზნეა რაშიდი.

დარდმა რომ დაწვა
ფახრალოს ცანი
და რომ გაქვავდნენ მაგიერ სხვანი,

და ღრმა დაღამდეს, გაშავდნენ ცანი,
დაღამებული დღეა რაშიდი...

გთხოვენო. ყურმილი ავიღე, ჩვენი მაყვალა იყო. რა ხდება-თქვა, შევეხმიანე. შენუხებული ხმით მითხრა, ჯანსული დილაუთენია მოვიდა, ახალი ნომერი გამომართვა და შენი მოძებნა დამავალი – ცოცხალი ან მკვდარი აქ მომგვარეოთ. ასეთი გაბრაზებული ჯანსული ჯერ არ მინახავს, ვიღაც უუუუნა აერია პირზე!

... რედაქტორის კაბინეტის კარი შევაღე. თითქმის ყველა იქ დამხვდა – ორი გივი, ავთო, თამაზი, ლევანი, ტარიელი, ოტია...

ჯანსული არც მომსალმებია, პირდაპირ მითხრა: რა ქენი, ბიჭო, ეს?! რა მიყავი, ბიჭო, ეს?! და მარტო მე? მთელ „ცისარას“!.. რა რისხაც დაგვატეხე!.. შაბათ-კვირას ტელეფონს ვეღარ მივეკარე! არადა, ყურმილი ხომ უნდა აიღო! რა დღეში ჩავვარდი ამ ორ დღეს, იცი? მარტო მე მირეკავდნენ, რატომლაც!.. ავიღებ ყურმილს და... ჯანსული ბრძანდებით?.. ჩვენკენ გადაიღო, მაქეთ ისევ უუუუნებს? ეს მსუბუქად ნათქვამია, სხვები ნახეთ, ყველას რა დაიმახსოვრებდა! ერთი მეუბნება, ისაო, რამდენ ქალს უუუუნებთ მა დასაგეხ თვალებსო!.. ისა სჯობს, რაც დამამახსოვრდა, ჩამოვთვლი: ერთი დროც მოვა, თავსმა წვიმაშიც მოხვდებით... „ეტყობა, მაგრა გი-უუუუნებთ ცისკერლებსო... მიდით, მიდით, თქვე ახვრებო, აუუუუნეთ... ეს არის, თქვე ბოზებო, ხმამალლა რომ გაიძახით, თავზე გვეურაც ნამუსის ქუდიო?.. წინივა-დე თბილისიდან კვახჭირამდე რამდენჯერ უუუუნებს, ისიც დაბეჭდეთო... ძალი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო... ჩემი თვალით ვნახე ის ქალბატონი, ერთი ლექსი რომ დაუბეჭდეთ ამ ნომერში. ორი დღე, ისე დაუუუნდა, სახელი რომ მაყვალა ერქვა, ისიც კი და-ვიწყდაო... რამდენი დაუუუუნება საჭირო, ლექსი რომ დამიბეჭდოთო... თქვენ რომ მართლა დაუუუუნება შე-გეძლოთ, მაგ თავსართა არ ამოეფარებოდთით... კარგა ხანია მეუუუნება, სად შეგხვდეთო... მერე ავდექი და ტე-ლეფონი გავთიშე, რას ვიზამდი!.. რა მიქენი, ბიჭო, ეს, რა! – მოიცა, მოიცა! ბატონო ჯანსულ, – მოვმორდი კე-დელს, – მე რა ვქენა? არაფერი არ მიქნა... – როგორ არ გიქნა, – შემაწყვეტინა ჯანსულმა, – აბა, ვინ დაბეჭდე ეგ რუბრიკა იმ დასალუპავ პორტესბა!

– კი მაგრამ, თქვენ არ მითხარით, კიბის თავზე, უუ-უუნა წვიმა მოვიდაო?.. – შევახსენ რედაქტორს.

– კაცო, მე კი გითხარი, მარა, ვისუმრე! – ჰელიდა, მე კი გითხარი, მარა, ვისუმრე!

– კამოდის, რომ ერთით ერთია!.. – კი, აგრე გამოდის! – დავემონმე მე.

– ვაა, კაცო, ეს ვინ ყოფილა! ხუმრობა არ იცის კაც-

მა, ეს ვინ ყოფილა! – ჩაილაპარაკა რედაქტორმა და

უურნალი გვერდზე მიაგდო.

კაბინეტში წუთით სიჩუმეში დაისადგურა, მაგრამ ისიც მე დავარღვივი – ნაცემი ძალივით გავილალე ითახიდან.

– რა მოხდა? – უმალ მკითხა მაყვალამ.

– მგონი, უუუუნამ დამთავრა ჩემი კარიერა „ცის-კარში“. ჯანსული, ალბათ, სამსახურიდან გამიშვებს! რას იზამ, მუშაკაცის ბედა ასეთი ყოფილა! – ვოქვე და ჩემი კაბინეტში წავლასლასდი.

მარტო ვიჯექი თახეში... რამდენ ხანს მივდევდი ფიქრებს ფეხდაცებს, დრო არ დამინიშნავს... მაყვალას ხმამ მომაქცია საქერთოდ, ჯანსული გეძახისო.


„ალბათ, „ბრალდების“ ბრძანების ტექსტი უნდა გა-მაცნოს!“ – გავიფიქრე და რედაქტორის კაბინეტში რა-ჭული სიდინჯით შევაბიჯე.

– შენ რაც ოთახიდან გახვედი, „თამაში“ დამატებით დროში გადავიდა, – მითხრა ჯანსულმა და გააგრძელა, – არ დამითვლია, მარა, ბევრმა დამირეკა; რა კარგია, რა რუბრიკა მოგიძებიათ: ვენაცვალე ჩემს დაიკობს, ასე ერთად რომ არიან ჩახურებულებიო... ერთმა ისიც მითხრა, ახლა გამოჩნდება, ვინ არის ერთი ლექსით დამრჩენი პოეზიაშიო... ჩამოთვლა შორს ნამიყვანს, ასე, რომ, და-მატებით დროშიც ერთით ერთია!

მე გავიღიმე, თანამშრომლებმა კი იცინეს...

– მე ხომ მაგარი ვარ, მარა, არც შენ ყოფილხარ ნაკ-ლები, მოდი, ჩამოგართვა ხელი, დავზავდეთ!

ახლა მეც გამცირია და რედაქტორის გამოწვდილ ხელს ხელი დავახვედრე... ■



ილია გეგიაშვილი

ირმას

* * *

შვილო ამქეცენად ბედმა გაგნირა, ყველამ გაგნირეთ ასჯერ, ასწილად, ნეტავ დამერეკე სადმე ვარდივით, ამოსულიყავ ეგებ ასკილად.

ასწილად ჯობდა სხვა ბედისნერა ჩემი და, ალბათ ნებისმიერის, ჩევენ ჩვენი ბედი შუბლზე გვენერა და ცაში ერთად ვიბედნიერებთ.

* * *

ვარ დაქარგული, როგორც ქონგური ციხე-დარბაზთა ზვიად სახეზე, მკერდზე წინაპრის სხივი დამეცა, სხივი მაქეზებს!

ზღვაში ჩანთქმული

ნატვრაჩათქმული ვარ მონეტა და მცირე იმედი, ამომინვდია სიტყვა ქართული, ცას ვერკინები!

ვარ გაბასრული, როგორც წარსული, როგორც წინაპრის ხმალი ფხასხმული, ნაკადულებს ვარ მარგალიტი ბეჭედს ჩასმული.

ვარ დაქარგული, როგორც ქონგური ციხე-დარბაზთა ზვიად სახეზე, მკერდზე წინაპრის სხივი დამეცა, სხივი მაქეზებს!

* * *

ზედაზენზე ქარი ქროდა, სიო კრთოდა არაგვთან, ბრძოლა მქონდა ბრძოლა, ჰოდა, ბედი გამიმარაბდება.

ვით ალაზნის სატაცური, მინას ხმლები მოესხა.

სისხლისფერი გადავცურე ბინდი საღამოისა.

ცაზე ელვა ელვარებდა, როგორც გორდას ნატეხი, ჩემი სულის მდელვარება წელში ტეხდა ქარტეხილს

ზედაზენზე ქარი ქროდა, სიო ქროდა არაგვთან ...

* * *

ზღვაზე სიჩუმე ჩანვა სრულებით, ვით ბრძოლის ველზე შეტაკებამდე, როგორც მდინარეს ნაკადულები, ლმერთო, იმედით უნდა მკვებავდე, ზღვაზე სიჩუმე ჩანვა სრულებით, ვით ბრძოლის ველზე შეტაკებამდე.

მეც წვიმასავით ციდან მოვდივარ, თუმცა მინაა ჩემიც შშობელი, იქნებ არ ლირდეს ცდად და ლოდინად, რასაც ასეთი თრთოლვით მოველით. მეც წვიმასავით ციდან მოვდივარ, მაგრამ მინაა ჩემიც შშობელი.

ზღვირთები ტანზე წამოვიზურე, ყაბარდოლელმა როგორც ნაბადი. ლმერთო, არა გთხოვ სიმშვიდის ყურეს, მე ხომ გატყორცნილ ტალღად დამბადე. ზღვირთები ტანზე წამოვიზურე, ყაბარდოლელმა როგორც ნაბადი.

ზღვაზე სიჩუმე ჩანვა სრულებით, ვით ბრძოლის ველზე შეტაკებამდე, როგორც მდინარეს ნაკადულები, ლმერთო, იმედით უნდა მკვებამდე. ზღვაზე სიჩუმე ჩანვა სრულებით, ვით ბრძოლის ველზე შეტაკებამდე.

მესათში

აქეთ ხერთისი, იქ აწყური სისხლმონაწყური, აგერ, თმოგვის ცაც, ურჯულოს ხმლით გადაკანრული.

ბალებში შუქი, ჩაფენილი საფანელივით, ცა მოჭედილი ვარსკლავების საქანელებით.

მე კვლავ ბეჭედი შინდი სამხრეთის, უამი მუხთალი, ბევრი მომხდური, ცოტა დამხვედრი.

აქ ხიზაბავრა, იქ აწყური,

სისხლმონაწყური აგერ, თმოგვის ცაც, ურჯულოს ხმლით გადაკანრული.

ალაზანი

არც ამაზონი და არც ნილოსი, არც მცხუნვარება ეგეოსის სანაპიროსი, შენ მოგეხსლე, შენ ოხვრა გზაფრავს საინგილოსი.

არც ნიაგარა, არც კანიონი, არც ტრამალების ცელქი სიონი, რა გაგაკირვოს, ტანზე გარტყია ბეგთარივით კავკასიონი.

თვალმარგალიტთა სიკაშვაშე ზღვა საუნჯიდან, დავანებული ზღვის ტალღებში სკივრებ-უჯრიდან, რა ბედენაა, სხივნი გეფრქვევა ფიროსმანის ყალმ-ფუნჯიდან.

პირამიდები... მდუმარება, ძილი, სიმუნჯე, აქ, გრემ-სილნალის აზიდული ციხე-ბურჯები ამოშვილდულან, გრგვინავს ნარსული წარბეგრული ხორნაბუჯიდან.

არც ჯომოლუნგმა და არც მონბლანი, არც ვენეციის ძირი მომპალი, ალავერდული ღვთიური სითხით წყლული მომბანე.

არც ენისეი და არც ნილოსი, არც ელვარება ატლანტიკის სანაპიროსი, ხმლად მიმითვალე, შენ წატვრა გჯაგრავს საინგილოსი!

მპირს ვალ